ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 7 ივნისი, 2017 №133 (7368) ფასი: 50 თეთრი

## მამუკა მდინარაძე: „პრეზიდენტის ადმინისტრაციამ სპეკულაციები უნდა შეწყვიტოს“

გვ.2

6 ივნისიდან

ონორე დე ბალზაკი

გამქრალი ოცნებანი

წიგნი II

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

# კახა ოქრიაშვილი დავით სერგეენკოს 50 მილიონს სთხოვს

გვ.3

„მსგავს ევროდირექტივას არ ვიცნობ და ასეთი არ არსებობს. იმას ვემხრობი, რომ სახელმწიფო, მათ შორის სერგეენკოც და ყველა მინისტრიც, ბიზნესში ნაკლებად ჩაერიონ, რადგან ყელში ამოიყვანეს"

ფარმაცევტულ კომპანიებს შესაძლოა კლინიკისა და სადაზღვევო კომპანიის მართვის უფლება აღარ ჰქონდეთ. მინისტრის განმარტებით, ქართულ მხარეს ასეთი რჩევა ევროპელებმა მისცეს

## კახა კუკავა: „აფგან მუხთარლი ბიზნესინტერესებში გაიცვალა“

„საქართველოს წონას, სტატუსსა და მისი უსაფრთხოების გარანტიებს რეგიონში განსაზღვრავდა ის, რომ მას დეკლარირებული ჰქონდა პროდასავლური კურსი. უცხოელი ტურისტებისთვის საქართველო წარმოადგენდა დასავლეთის მინიმოდელს ამ რეგიონში"

გვ.3



გვ.4

## „ივანიშვილი „ოცნებაში“ დამოუკიდებელი თამაშის უფლებას არავის მისცემს“

ბესო დანელია: „იუსტიციის სამინისტრო საჯარო ინფორმაციებს მალავს“

## თბილისში კიდევ ერთ აზერბაიჯანელ დისიდენტს დაემუქრნენ

ახალი სკანდალური საქმე

გვ.5

## სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ თაღლითობის მცდელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

გვ.7

## „ლარში ფასდადებისას უძრავი ქონების ფასი ხელოვნურად გაიზრდება“

გვ.6

ISSN 1987-9385

## „ქართული წარმოება დემპინგური და სუბსიდირებული იმპორტისგან უნდა დავიცვათ“

გვ.6

## მუნიციპალურ ტრანსპორტში მგზავრობისას სხვადასხვა ბანკის პლასტიკური ბარათების გამოყენება იქნება შესაძლებელი

გვ.6

# რაზე ვერ თანხმდებიან „ოცნებაში“

ნათია ხურცილავა

**„ქართული ოცნების" ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ვიცესპიკერი გია ვოლსკი, „ახალი თაობასთან" ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკის პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო გია, არაოფიციალურად კახა კალაძე „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატად უკვე დასახელდა. როგორ შეჩერდა არჩევანი კალაძეზე?***

– ამ საკითხის ოფიციალური ნაწილი ბოლომდე არ არის მიყვანილი. მიუხედავად ამისა, ჩვენმა გუნდმა გადაწყვიტა, რომ ღიად და გამჭვირვალედ წარმოედგინა ბევრი საკითხი. პარტიის ხელმძღვანელობასთან, პრემიერთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრაზე ვისაუბრეთ დედაქალაქის მერობის შესაძლო კანდიდატზე. შესაძლოს ვამბობ იმიტომ, რომ ჯერ პოლიტსაბჭოს თავისი სიტყვა არ უთქვამს, თუმცა, ვინაიდან პოლიტსაბჭოს უმრავლესობა ესწრებოდა ამ სხდომას, ეს გადაწყვეტილება არ შეიცვლება. კალაძე უალტერნატივოა.

***– თქვენ ამბობთ, რომ კალაძის კანდიდატურა არ შეიცვლება?***

– არა მგონია, რომ შეიცვალოს. გუნდის წევრი უნდა იყოს იქ, სადაც გუნდს მიაჩნია, რომ მისი საქმიანობა მაქსიმალურად ეფექტური იქნება.

***– კალაძე ნარმანიაზე უკეთესი მერი იქნება, თუ გახდება მერი?***

– ყოველთვის უკეთესობისკენ უნდა ვისწრაფოთ. ხვალ ყველაფერი უკეთესი უნდა იყოს, ვიდრე გუშინ იყო. ნარმანიამ ბევრი გააკეთა, ამხელა მეურნეობის მოვლა ხინჯის გარეშე არ არსებობს. ახალი ენერგიით, ვფიქრობ, კახა იმასაც გაითვალისწინებს, თუ რასთან დაკავშირებით ჰქონდა საზოგადოებას პრეტენზიები მერთან მიმართებით. დარწმუნებული ვარ, წარმატებული იქნება, თუ აირჩევენ. პირადად მე ძალიან

## გია ვოლსკი: „საარჩევნო სისტემაზე გუნდში აზრთა სხვადასხვაობაა“

ვუჭერ მხარს.

***– ძალიან დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა აზერბაიჯანელი ჟურნალისტის ქვეყნიდან გაუჩინარებას და შემდეგ უკვე ბაქოს იზოლატორში აღმოჩენას. ჩვენი ქვეყნის იმიჯთან დაკავშირებით რას იტყვით?***

– სწორედ ქვეყნის იმიჯზეა საუბარი. საკმაოდ სერიოზული შეტევა განახორციელა ქვეყნის იმიჯზე, როგორც ამბობენ, კონსპირაციულად გატაცებულმა ადამიანმა, გამოვიდა და საშინელებები ილაპარაკა ჩვენს ქვეყანაზე, რომელიც ყოველმხრივ მხარდაჭერილია, მათ შორის, განვითარებული დემოკრატიების მიერ. გასაგებია, რომ ადამიანური დაძაბულობა არსებობს, მაგრამ საქართველოს მიმართ არც ჩვენს მოქალაქეს და არც სხვა ქვეყნის მოქალაქეს არ აქვს მიზეზი, რომ ესოდენ დამაზიანებელი შეტევა განახორციელოს. გასაგებია, რომ უამრავ სპეკულაციას შეიძლება ჰქონდეს ადგილი. ერთი, რაც ზუსტად ვიცით, არის ის, რომ არის ადამიანების გარკვეული ჯგუფი, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ და გარკვეული გეგმით მოქმედებენ, რომელიც აბსოლუტურად არანაირად არ ჯდება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ინტერესში, მაგრამ ჩვენ მათ პრობლემებს ამის გამო არ ვუქმნით. მიმდინარეობს გამოძიება და ის ბოლომდე მივა.

***– ბატონო გია, საარჩევნო სისტემაზეც მინდა გკითხოთ. ე.წ. ბონუსების სისტემა, არ არის გამორიცხული, რომ გადაიხედოს? როგორ წარმოგიდგენიათ, რომ უფრო სამართლიანად გადანაწილდეს გადაუნაწილებელი მანდატები?***

– კონსტიტუციური სამართალი საერთოდ არ ითვალისწინებს გარკვეული პრინციპებიდან და ჩარჩოებიდან გადახვევას. ზოგადად, ეს პრინციპები აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს არა მხოლოდ ვენეციის კომისიის რეკომენდაციას, არამედ საზოგადოების დამოკიდებულებას უნდა ასახავდეს, იმ საზოგადოების, რომლისთვისაც იწერება ეს კონსტიტუცია.

***– ხელისუფლებამ საზოგადოების დაკვეთა, თუ შეიძლება ასე ითქვას, გაიგო კონსტიტუციასთან მიმართებით?***

– რასაკვირველია. ძალიან მკაფიოდ იყო საზოგადოების დაკვეთა საერთო სახალხო განხილვებზე ჩამოყალიბებული. ჩვენ მოვისმინეთ, გავიგეთ, ხაზგასმით ვამბობ ამას საზოგადოებისგან ყველა იმ საკითხის შესახებ, რაც მათთვის აქტუალური და მნიშვნელოვანია. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, კონსტიტუცია ერთი პარტიისა და ერთი პერიოდისთვის არ იწერება. ამიტომ არის ის ქვეყნის მთავარი, უზენაესი კანონი.

რაც შეეხება კონკრეტულად ბონუსების სისტემას, მე არ მიმაჩნია, სწორი, სამართლიანი იყოს, რომ არჩევნებზე, ნებისმიერმა პარტიამ, არა აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება, „ქართული ოცნება“ თუ სხვა, უამრავი რამ შეიძლება შეიცვალოს, დაბალი პროცენტი აიღოს და გაუორმაგდეს პარლამენტში მანდატების რაოდენობა. თუმცა, მეორე მხარეს არის ძალიან ბევრი არგუმენტიც. არიან ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ შერეული სისტემა სამართლებრივადაც და მორალურადაც გაცილებით გამართულია.

***– საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით გუნდში აზრთა სხვადასხვაობა ძალიან დიდია?***

– ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა ნამდვილად არსებობს.

***– საუბარი იყო ბონუსსისტემაზე ეტაპობრივად გადასვლაზე. ეს რას ნიშნავს?***

– დიახ, ამაზეც იყო საუბარი, რომ ბონუსი არ შეიძლება ჰქონდეს იმ პარტიას, რომელიც შეიძლება პირველ ადგილზე გავიდეს არჩევნებზე, მაგრამ თეორიულად დასაშვებია, რომ ძალიან დაბალი პროცენტული მაჩვენებელი აიღოს. ამ შემთხვევაში მისთვის ბონუსის მიღება შეიძლება რთულად წარმოსადგენი იყოს.

***– ვინაიდან ელექტორატის განწყობები ნათლად გამოჩნდა?***

– დიახ, სწორედ ამიტომ. თეორიული დაშვებაც კი არ უნდა მოხდეს ასეთი კაზუსის, რომ, ვთქვათ, 20-22% დაემატოს. 100-წლიან გარანტიას ვერ მოგცემთ, მაგრამ ეს არ მოხდება ამ შემთხვევაში. ამდენად, არის მოსაზრება, რომ ზედა და ქვედა ლიმიტი დადგინდეს და ბონუსიც ასე განისაზღვროს, რომ უსამართლობის განცდა არ დარჩეს არავის. ერთადერთი, რაც შემიძლია დავამატო, არის ის, რომ რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ, ყველაფერი ერთი მთავარი ამოცანისკენ არის მიმართული, რასაც არავინ ითვალისწინებს და ბონუსის სკანდალურობაზე აკეთებს აქცენტს. ეს არის უმრავლესობის შესაძლებლობა, რომ მთავრობა დააკომპლექტოს.

ამას არავინ აქცევს ყურადღებას. თუ მთავრობას ვერ დააკომპლექტებს უმრავლესობა, წარმოიდგინეთ როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები, პოლიტიკური კრიზისი გარდაუვალი იქნება. როგორ, უსაშველოდ უნდა ვატაროთ საპარლამენტო არჩევნები, რომ მთავრობა ჩამოყალიბდეს? კოალიციური მთავრობა ძალიან სათუოა, რომ შეიქმნას. ჩვენ ქვეყანას გვინდა ავარიდოთ დესტაბილიზაცია, პოლიტიკური კრიზისი, ამიტომ ვამბობთ, რომ გამარჯვებულ პარტიას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, მთავრობა ჩამოაყალიბოს.

# მამუკა მდინარაძე: „პრეზიდენტის ადმინისტრაციამ სპეკულაციები უნდა შეწყვიტოს“

შორენა მარსაგიშვილი

პრეზიდენტის ადმინისტრაციამ პარლამენტის თავმჯდომარეს 5 ივნისს საჯაროდ დადებული პირობა დაარღვევინა. ირაკლი კობახიძემ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, რომ პრეზიდენტისა და მისი ადმინისტრაციის განცხადებებზე კომენტარს არ გააკეთებდა, მაგრამ ვინ აცალა პირობის შესრულება.

ყველაფერი კი საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძის განცხადებას მოჰყვა.

მან ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ მუხრანში გამართულ შეხვედრაზე გამოითქვა აზრი, 2018 წელს პრეზიდენტის არჩევნები არაპირდაპირი წესით ჩატარდეს.

– არგუმენტი იყო ის, რომ როდესაც კომპრომისს აზრი ეკარგება, მაშინ შესაძლებელია პირდაპირ გადავიდეთ იმ სისტემაზე, რაც არის სწორი, კლასიკური გაგებით საპარლამენტო მოდელისათვის. საკითხი უმრავლესობაში კიდევ იქნება განხილვის საგანი, – განაცხადა მდინარაძემ.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ კი პირდაპირ თქვა, რომ პრეზიდენტის არჩევა არაპირდაპირი წესით უნდა მოხდეს.

– მიმაჩნია, რომ პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით არჩევის წესი ამ ძლიერი საპარლამენტო მოდელის პირობებში სწორია. თუ მიგვაჩნია, რომ ეს არის მართებული და მიგვაჩნია ისიც, რომ კონსტიტუცია დაახლოებით ერთი წლის შემდეგ უნდა ამოქმედდეს, ვფიქრობ, ამ საკითხის გადადება გონივრული და გამართლებული არ იქნებოდა, – განუცხადა ჟურნალისტებს ეკა ბესელიამ.

მუხრანულ ამბებს პრეზიდენტის ადმინისტრაციაც გამოეხმაურა. პრეზიდენტის პრესსპიკერმა ეკა მიშველაძემ მუხრანში გამართულ შეხვედრაზე გაჟღერებულ ინიციატივას სამწუხარო უწოდა.

– ჩვენთვის მიუღებელია, კონსტიტუციის ცვლილება მოხდეს კონკრეტული სიმპათიის ან ანტიპათიის, პიროვნული დამოკიდებულების გამო.

ასევე გაცნობებთ, რომ კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესთან დაკავშირებით პრეზიდენტი და მისი ადმინისტრაცია განაგრძობენ კონსულტაციებსა და შეხვედრებს პოლიტიკურ პარტიებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ კონსტიტუციის მიღება მოხდეს მაქსიმალური კონსენსუსის საფუძველზე, რაც ნებისმიერი კონსტიტუციის – ქვეყნის მთავარი დოკუმენტის უმთავრესი არსია. ამასვე ადასტურებს ვენეციის კომისიის რეკომენდაციაც.

სწორედ პროცესის ღიაობა და მასში საზოგადოების, პარტიებისა და სამოქალაქო სექტორის ფართო ჩართულობა უზრუნველყოფს კონსენსუსს. შესაბამისად, ჩვენ ვაგრძელებთ შეხვედრებს და კონსულტაციის გამართვის შეთავაზება არსებობს მმართველ პარტიასთან მიმართებითაც, – აღნიშნა მიშველაძემ.

ადმინისტრაციის პოზიციამ „ქართული ოცნება“ უკმაყოფილო დატოვა. მამუკა მდინარაძემ მარგველაშვილის გარემოცვა სპეკულაციებში დაადანაშაულა.

– როგორც ჩემთვის ცნობილი ხდება, პრეზიდენტის ადმინისტრაცია ეხმაურება აზრის გამოთქმას. არ მინდა დავიჯერო, რომ ისინი აზრის გამოთქმასაც კრიტიკულად უყურებენ, ვის მიერაც არ უნდა იყოს ეს გახმოვანებული.

რაც შეეხება კონსულტაციებს, საკმაოდ უცნაურია პრეზიდენტის ადმინისტრაციის მოქმედებები და განცხადებები სინთეზში, დაწყებული იანვრიდან. თავიდან ისინი არ მონაწილეობდნენ კომისიის მუშაობაში. ამის შემდეგ ნაწილობრივ მიიღეს მონაწილეობა საერთო სახალხო განხილვებში და დღეს კიდევ რაღაც კონსულტაციებს გვთავაზობენ. დღეს უკვე მიმდინარეობს საპარლამენტო განხილვები, კომიტეტის სხდომები მიმდინარეობს და მათ შეუძლიათ ნებისმიერი კომიტეტის სხდომაზე, რომელიც არის გახსნილი, მიიღონ მონაწილეობა და დაფიქსირონ თავისი აზრი. უნდა მორჩნენ, ჩემი აზრით, გარკვეულ ინსინუაციებს, სპეკულაციებს ამ პროცესთან დაკავშირებით, – აღნიშნა მდინარაძემ.

მდინარაძის შემდეგ ავლაბრის სასახლის ბინადრები ირაკლი კობახიძემ დაგმო. სპიკერის თქმით, პრეზიდენტის ადმინისტრაციის მხრიდან კონსულტაციებზე საუბარი დამღლელი გახდა.

– ზოგადად, საუბარი კონსულტაციებზე, ჩართულობასა და ვადებზე იმ ადამიანების მხრიდან, რომლებიც კომისიის მუშაობაში ოთხი თვის განმავლობაში არ მონაწილეობდნენ, რბილად რომ ვთქვათ, ზედმეტია. ამაზე დამატებითი კომენტარების კეთება არ შეიძლება. როგორ შეიძლება, კონსენსუსსა და ვადებზე ის ადამიანი მოგვიწოდებდეს, რომელიც კომისიის მუშაობაში ოთხი თვის განმავლობაში არ ჩაერთო? ამასთან დაკავშირებით კომენტარების გაკეთება აბსოლუტურად ზედმეტია, – დასძინა პარლამენტის თავმჯდომარემ.

პრეზიდენტის მგმობელმა სპიკერმა არასამთავრობო სექტორიც დაგმო. არასამთავრობოები პარლამენტს მოუწოდებენ, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვა საშემოდგომო სესიაზე მოხდეს.

კობახიძის თქმით, არასამთავრობოების ინიციატივა უსაფუძვლოა, რადგანაც კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებით კითხვები პრაქტიკულად აღარ არის:

– ახალი დოკუმენტი ისეა მომზადებული, რომ თითოეული მუხლი ზედმიწევნით გავლილია. ეს მოწოდება საფუძველს მოკლებულია. სამი რაუნდი ჩავატარეთ და საკომიტეტო განხილვებს ვატარებთ, რომელსაც პლენარული განხილვები დაემატება. კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტს ამაზე მეტად ფიზიკურად ვერ განიხილავ. აქედან გამომდინარე, როცა რაღაცისკენ მოგვიწოდებენ, მოწოდება დასაბუთებული უნდა იყოს. ეს მოწოდება დასაბუთებული არ არის, – აღნიშნა კობახიძემ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# კახა კუკავა: „აფგან მუხთარლი ბიზნესინტერესებში გაიცვალა“

ნონა ცაბაძე






**თავისუფალი საქართველოს ლიდერი კახა კუკავა აზერბაიჯანელი ჟურნალისტის გატაცების საქმეზე საუბრობს და „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ საქართველოს კორუმპირებული მთავრობა ბაქოში დიდ ფულს აკეთებს. მათ აქვთ ბიზნესკავშირები და, სავარაუდოდ, მუხთარლის ექსტრადიცია გაიცვალა იმაში, რომ რომელიღაც ქართველმა დამპალმა კორუმპირებულმა ჩინოვნიკმა და მისმა ბიზნესმა ბაქოში მიიღო გარკვეული პრივილეგია.**

***– ბატონო კახა, აზერბაიჯანელი ჟურნალისტის გატაცების გამო საქართველო შესაძლოა სერიოზულ საერთაშორისო სკანდალში გაეხვიოს. რა ხდება რეალურად? ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები გვესმის ხელისუფლების მხრიდან. რა არის პრობლემა?***

– ძალიან ბევრი პრობლემის მაჩვენებელია მუხთარლის კრიზისი. საერთოდ, როგორც დაავადებულ ორგანიზმში ხდება, რომ ნებისმიერ პატარა ვირუსიც კი შეიძლება გახდეს სერიოზული შედეგების მაპროვოცირებელი, აი, ასეა დღეს. ჩვენი სახელმწიფო არის ავადმყოფი და ერთი შეხედვით უმტკივნეულო პრობლემაც კი შესაძლოა გახდეს ღრმა კრიზისის საფუძველი. მუხთარლი იყო ერთი ჩვეულებრივი ჟურნალისტი და ახლა ეს არ იყო საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის მასშტაბური საკითხი, მაგრამ ამ საკითხზეც, ისევე, როგორც სხვა ბევრ საკითხზე, ხელისუფლება მუდმივად სკანდალებში ეხვევა. რა გამოაჩინა მუხთარლის საქმემ...

***– რა გამოაჩინა? სერიოზულ კრიზისშია ქვეყანა?***

– პირველი გამოჩნდა ის, რომ საქართველო კარგავს იმ ერთადერთ რეგიონულ ფუნქციას, რომელიც მან შეიძინა დამოუკიდებლობის შემდგომ. საქმე რაშია? ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკიდან აზერბაიჯანმა თავისი უსაფრთხოების კონცეფცია ააგო თურქეთთან მოკავშირეობასა და ნავთობის ექსპორტზე. ეს არის მისი ფუნქცია. აზერბაიჯანის წონას რეგიონში სწორედ ეს განსაზღვრავს. სომხეთს ვინაიდან არ გააჩნია ნავთობის რესურსები, მის წონას განსაზღვრავს მისი მჭიდრო კავშირი რუსეთთან.

***– საქართველოს წონას რა განსაზღვრავს?***

– საქართველოს წონას, სტატუსსა და მისი უსაფრთხოების გარანტიებს რეგიონში განსაზღვრავდა ის, რომ მას დეკლარირებული ჰქონდა პროდასავლური კურსი და, განსხვავებით სომხეთისა და აზერბაიჯანისგან, რომლებიც სიტყვითაც კი არ დეკლარირებდნენ დემოკრატიულ ღირებულებებს, საქართველო, ასე თუ ისე, ინარჩუნებდა დემოკრატიული ქვეყნის იმიჯს. უცხოელი ტურისტებისთვის საქართველო წარმოადგენდა დასავლეთის მინიმოდელს ამ რეგიონში.

***– დაკარგა ეს იმიჯი?***

– ამ ხელისუფლების პირობებში დაიწყო ამ ფუნქციის რღვევა. შევარდნაძისა და სააკაშვილის დროსაც კი, როდესაც ადამიანის უფლებები დაცული არ იყო, დეკლარირებულად მაინც არ ხდებოდა იმ ტიპის მოვლენა, რაც ახლა მოხდა. ამ ხელისუფლებამ ეს დაუშვა, რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოს, როგორც თავისუფალი ქვეყნის სტატუსი, რეგიონში დგება ძალიან დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ. ჩვენ მალე ვნახავთ, თუ როგორი იქნება საქართველოს ვარდნა ყველა საერთაშორისო მოხსენებაში და ყველა მიმართულებით. ამ სკანდალში ჩემთვის ყველზე მნიშვნელოვანი, იცით, რა არის?!

***– რა არის ყველზე მნიშვნელოვანი?***

– გარდა იმისა, რომ ეს არის ადამიანის ტრაგედია, ასევე მოხდა საქართველოს გადანაცვლება. აქამდე ხომ ვიყავით რეგიონის სუსტი სახელმწიფო, ახლა გავხდით რეგიონის მაჩანჩალა! საქართველოს ისტორიულად ხან რუსეთი ურტყამდა თავში და ხან თურქეთი. თუმცა ახლა მოხდა პირველი შემთხვევა, როცა საქართველოს წამოარტყა თავში აზერბაიჯანმა. ეს არასდროს მომხდარა. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ საქართველოსა და სომხეთს, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ჩამოყალიბდა ასეთი უსიტყვო პარიტეტი. დღეს ეს პარიტეტი დაირღვა. აზერბაიჯანმა, როგორც მაჩანჩალას, საქართველოს თავში წამოარტყა. ახლა საქართველო ან შეიწერს ამ თავში წამორტყმას და ეს მუდმივ ხასიათს მიიღებს, ან საქართველომ უნდა გასცეს აზერბაიჯანს პასუხი და აუხსნას, ალიევის საზღვრები სად მთავრდება და სად იწყება საქართველოს საზღვრები.

***– ძალიან ბევრი კულუარული ინფორმაცია ვრცელდება აღნიშნულთან დაკავშირებით. ერთ-ერთი ვერსიით, ხელისუფლების გვერდის ავლით ივანიშვილის გარემოცვამ საჩუქარი გაუკეთა აზერბაიჯანის პრეზიდენტს და მისი კეთილგანწყობა მოიპოვა. თქვენ რა ინფორმაციებს ფლობთ?***

– ძალიან ღია და აშკარაა, რაც მოხდა, თუმცა პირდაპირი მტკიცებულებები დაიდება მაშინ, როდესაც ეს ხელისუფლება აღარ იქნება, როდესაც მთავარი პროკურორი იქნება ისეთი ადამიანი, რომელიც ივანიშვილზე არ იქნება დამოკიდებული. აი, მერე ამ დეტალებზე ყველა ილაპარაკებს. მღებრიშვილიც მისცემს ჩვენებას გომელაურზე, გომელაური აუცილებლად მისცემს ჩვენებას ივანიშვილზე და ყველა ერთად მოთავსდება გლდანის დაწესებულებაში. თუმცა, სანამ ხელისუფლებაში არიან, ცხადია, იურიდიულ მტკიცებულებებს მათ წინააღმდეგ სამართალდამცავი ორგანოები ვერ მოიპოვებენ, მაგრამ, რაც მოხდა, ყველამ კარგად ვიცით.

***– რა მოხდა?***

– რამდენიმე აქსიომაა. პირველი: აქსიომაა ის, რომ კაცი, რომელიც დევნილი იყო აზერბაიჯანიდან, თავისი ფეხით იქ არ წავიდოდა და გადაიყვანდნენ ძალით. მეორე: გასაგებია, რომ ამის მოტივაცია ჰქონდა ალიევს. საქართველოს მთავრობას არ ექნებოდა მოტივაცია, რომ თავისი ნებით დაეჭირა. ეს იყო ალიევის სურვილი იყო, ეს კაცი ჰყოლოდა ბაქოში, ციხეში და მესამე: იმისთვის, რომ საქართველოს ხელისუფლება დახმარებოდა ალიევს, ბუნებრივია, მათ რაღაცა თავიანთი ინტერესიც უნდა ჰქონოდათ.

***– და რა არის ეს ინტერესი?***

– ეს არის ზუსტად ის, რაზეც ზემოთ მკითხეთ. ახლა უჩა მამაცაშვილი იყო ამაში ჩარეული, ოთარ ფარცხალაძე თუ ჯანყარაშვილი, ამას რა მნიშვნელობა აქვს. საქართველოს კორუმპირებული მთავრობა, წინაც და დღევანდელიც, ბაქოში აკეთებს ძალიან დიდ ფულს. მათ აქვთ ბიზნესკავშირები, იქიდან მომავალ ტვირთებზე ტარიფების დაწესება და ასე შემდეგ. სავარაუდოდ, მუხთარლის იქ ექსტრადიცია გაიცვალა იმაში, რომ რომელიღაც ქართველმა, დამპალმა კორუმპირებულმა ჩინოვნიკმა და მისმა ბიზნესმა მიიღო ბაქოში გარკვეული პრივილეგია ხელი ხელს ჰბანს პრინციპით. ამაში ორი აზრი არ არის!

***– საუბრისას ფარცხალაძეც ახსენეთ. ამბობენ, რომ მას აღარ სწყალობს ბიძინა ივანიშვილი და მის კადრებსაც ათავისუფლებენ დაკავებული თანამდებობიდან. ამაზე რას იტყვით?***

– აბსოლუტურად არ არის საინტერესო ჩემთვის, ფარცხალაძის კადრებს რა დაემართებათ. ფარცხალაძე არ არის ქართული სახელმწიფოს პრობლემა. ჩვენი პრობლემა ზოგადად კლანურობაა. არ იქნება ფარცხალაძე, იქნება ჯანყარაშვილი, ღარიბაშვილი ან მამაცაშვილი. ეს დაუმთავრებელი იყო ყველა მთავრობის დროს. ამიტომ ჩვენი მთავარი ამოცანაა, მოხდეს პირველ პირებზე გასვლა.

***– ვინ არიან ეს პირველი პირები?***

– ჩვენ უნდა ვებრძოლოთ არა ფარცხალაძეს, არამედ ფარცხალაძის დამკვეთს და სისტემის დამკვეთი, მთავარი დამნაშავე და კრიმინალი დღეს საქართველოში არის ბიძინა ივანიშვილი! ამიტომ ფარცხალაძის ჩაჩოჩება არაფერს პოზიტურად არ შეცვლის ჩვენს ქვეყანაში. პირიქით, მე მინდა შევთავაზო ფარცხალაძეს – რაც გაქვს, ეგ კომპრომატები, თუ გინდა, რომ ცოცხალი გადარჩე და სადღაც არ გაგაგორონ, კარგად დააფაილე და მოიტანე პარტია თავისუფალ საქართველოში. ფარცხალაძე ამ შემთხვევაში ჩემთვის, როგორც იურისტისთვის, არის არა მთავარი დამნაშავე, არამედ ის არის გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი მოწმე.

***– რამდენად ღრმა კრიზისში შევიდა დღეს „ქართული ოცნება“ და თუ შეძლებს ამ სიტუაციიდან თავის დაღწევას?***

– „ქართული ოცნება“ ვერ შეძლებს ამ სიტუაციიდან თავის დაღწევას, იმიტომ რომ არა აქვს ამის უნარი. იმისათვის, რომ ორგანიზმმა დაავადება დაამარცხოს, გარდა იმისა, რომ უნდა გაუძლოს ამას, მთავარია სწორი მკურნალობა. უნდა უნდოდეს პაციენტს გადარჩენა. ის უნდა იღებდეს წამლებს. სხვა შემთხვევაში ლეტალური შედეგი გარდაუვალია. „ქართულ ოცნებას“ თვითგანადგურების ინსტინქტი უკვე ჩართული აქვს და განწირულია განადგურებისათვის. ის გააგრძელებს იმ მარაზმატულ სცენებს, რასაც ახლა ჩვენ ვუყურებთ. ძალიან მალე ეს პროცესები გადაიზრდება მასობრივში, რაც ივანიშვილის რეჟიმსაც და მის რეზიდენციასაც მიწასთან გაასწორებს.

# კახა ოქრიაშვილი დავით სერგეენკოს 50 მილიონს სთხოვს

შორენა მარსაგიშვილი

**სახელისუფლებო გუნდში ახალი დაპირისპირება იწყება. დმანისის მაჟორიტარი დეპუტატი ჯანდაცვის მინისტრის წინააღმდეგ ილაშქრებს და მას ბიზნესში ჩარევაში ადანაშაულებს.**

კანონმდებლისა და ფარმაცევტის რისხვა მინისტრმა წამლის შესახებ კანონში შესატან ცვლილებებზე გაკეთებული განცხადების გამო დაიმსახურა.

დავით სერგეენკოს თქმით, ფარმაცევტულ კომპანიებს შეესაძლოა კლინიკისა და სადაზღვევო კომპანიის მართვის უფლება აღარ ჰქონდეთ. მინისტრის განმარტებით, ქართულ მხარეს ასეთი

რჩევა ევროპელებმა მისცეს.

კახა ოქრიაშვილი კი ამ ინიციატივას სულ სხვანაირად აფასებს და არც ევროპელების რჩევის სჯერა.

– მსგავს ევროდირექტივას არ ვიცნობ და ასეთი არ არსებობს. იმას ვემხრობი, რომ სახელმწიფო, მათ შორის სერგეენკოც და ყველა მინისტრიც ბიზნესში ნაკლებად ჩაერიონ, რადგან ყელში ამოიყვანეს. ბიზნესის კეთება არავის აღარ სჭირდება და არც მე, არც ჩემს კომპანიას. ბიზნესში მუდმივი რაღაც აკრძალვა განწყობას აფუჭებს. წავიდნენ, ბიზნესი აკეთონ, ამის თავი არ აქვთ.

ასეთი განცხადებები აზიანებს ბიზნესგანწყობას, რადგან ბიზნესგანწყობა არის ემოციური განწყობა. მოვუწოდებ ყველას, ძალიან ფრთხილი განცხადებები აკეთონ, რათა არ დააზარალონ ისეთი მყიფე, რთული ბიზნესგარემო, – განაცხადა ოქრიაშვილმა.

მას იმედი აქვს, რომ ხელისუფლება ასეთ გადაწყვეტილებას არ მიიღებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის რადიკალური ზომების მიღებას გეგმავს.

– თუ ეს საკითხი სერიოზულად დადგება და საკითხი დგას ჩემს კომპანიაზე, ჩვენ ავაშენეთ საავადმყოფო, ინვესტირება გავაკეთეთ 50 მილიონი დოლარის, მთავრობის დადგენილების საფუძველზე დავუბრუნებთ უკან მთავრობას, დაგვიბრუნოს ჩვენი ფული. ეს არის ჩვენი პასუხი, – აღნიშნა ოქრიაშვილმა.

მას გონივრული ეჭვი აქვს, რომ ამ წამლის შესახებ კანონზე მუშაობა მავანმა მის საპასუხოდ დაიწყო. ამ ყველაფერს ის ბანკებთან დაკავშირებით გამოთქმულ ინიციატივას უკავშირებს.

რამდენიმე თვის წინ ოქრიაშვილმა ბანკებისთვის არაპროფილური ეკონომიკური საქმიანობის აკრძალვა მოითხოვა.

– ერთმანეთს საეჭვოდ ისეთი გარემოებები ემთხვევა, როცა გამოვდივარ, ბანკებს ვაკრიტიკებ და უცებ გამოდიან და ამბობენ, რომ ფარმაცევტული ბაზარი უნდა დავშალოთ, დავყოთ და დავაქუცმაცოთ.

ეს რაღაც-რაღაცები ერთმანეთს ძალიან ხშირად ემთხვევა და არ მინდა ვიფიქრო, რომ მე რომ საბანკო სექტორს ვაკრიტიკებ, ამით არის გამოწვეული ის, რომ ჩემს ბიზნესს არტყამენ. უკვე ათჯერ მაინც მოხდა, როცა ბანკები გავაკრიტიკე და ეს დაემთხვა. ამიკრძალონ! ჩემი ქვეყნისთვის რაც კარგია, ჩემთვის უფრო წინ დგას და ამ სიტუაციაში ჩემი ბიზნესი ფეხებზე მკიდია, – განაცხადა დეპუტატმა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში კახა ოქრიაშვილი „ოცნებას“ ღიად უშლის ნერვებს. მმართველმა გუნდმა ცოტა ხნის წინ გვამცნო, რომ 2020 წელს საპარლამენტო არჩევნები მხოლოდ პროპორციული სიით ჩატარდება, რასაც მეოცნებე მაჟორიტარები სერიოზულად უპირისპირდებიან.

პროპორციულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით ღიად გამოთქვა პროტესტი ოქრიაშვილმა. როგორც ამბობენ მასთან დაკავშირებით სხვა პრეტენზიებიც არსებობს. სავარაუდოდ, ამის გამო არ მისცეს მას პარლამენტში ფრაქციის შექმნის უფლება.

# „ივანიშვილი „ოცნებაში“ დამოუკიდებელი თამაშის უფლებას არავის მისცემს“

შორენა მარსაგიშვილი

**ჰატომ უჩივის დემოკრატიული მოძრაობა იუსტიციის სამინისტროს, ჰატომ აღაპარაკდა „ოცნება" ჯიდევ ეროხეი პრეზიდენტის არჩევის არაპრიზიდენტის წესზე, როგორ დასრულდება სახელისუფლებო გუნდში დაწყებული დაპირისპირება? – ამ თემებზე „ახალ თაობას" დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ბესო დანელია ესაუბრება.**

***– პარლამენტის თავმჯდომარემ რამდენჯერმე განაცხადა, რომ პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით არჩევა 2023 წლამდე არ მოხდება. ახლა ირკვევა, რომ საპარლამენტო უმრავლესობა პრეზიდენტის არჩევის წესის შეცვლას უკვე 2018 წლისთვის აპირებს. თქვენი აზრით, რატომ შეიცვალა „ოცნებამ“ აზრი?***

– აზრი არ შეუცვლიათ, მათ საკუთარ თავზე მორგებული საკონსტიტუციო მოდელი შეიმუშავეს. ამ მოდელის დახმარებით ყველა სახელისუფლებო შტო ერთი ადამიანის ხელში მოექცევა, რომელსაც არავითარი სახელისუფლებო პასუხისმგებლობა არ გააჩნია.

ჩრდილოვანი მმართველობის დანერგვით ქვეყანა დემოკრატიული რელსებიდან გადაჰყავთ. ამიტომაც იცვლება პრეზიდენტის არჩევის წესი. ამიერიდან პრეზიდენტს კი არ ავირჩევთ, არამედ თავად დაგვისვამენ. სხვათა შორის, 2013 წელს მარგველაშვილიც ასე დაგვისვა ბიძინა ივანიშვილმა. პატარა ბავშვივით ხელმოკიდებულს აქეთ-იქეთ ატარებდა. ისიც კი გვითხრა, მას თუ არ მისცემთ ხმას, გაგებუტებით და აღარ დაგეხმარებითო. პრეზიდენტად დანიშვნიდან ცოტა ხანში მარგველაშვილი უკვე აღარ დაემორჩილა ივანიშვილს. ამის შემდეგ „ოცნებამ“ პრეზიდენტზე თავდასხმები დაიწყო. ამ შემთხვევაში ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ ასეთი გადაწყვეტილებების გამო დემოკრატიული ინსტიტუტები ინგრევა. ცივილიზებულ სამყაროში – ევროპაში, საითკენაც მივისწრაფვით, დემოკრატიულ ინსტიტუტებს სახელები და გვარები ვერ ცვლიან. ეს ყველაფერი წარმოშობს ეკონომიკურ სიძლიერეს და ადამიანების სოციალური მდგომარეობაც უმჯობესდება.

***– ექსპერტ გია ხუხაშვილის აზრით, „ოცნების“ ქმედებების საპასუხოდ მარგველაშვილმა შესაძლოა თანამდებობა დატოვოს და შემოდგომაზე ვადამდელი არჩევნები დანიშნოს. ამაზე რას იტყვით?***

– მე არ ვიცი, ხუხაშვილი რის საფუძველზე აკეთებს ასეთ დასკვნას. ჩემი აზრით, პრეზიდენტს ამის გამბედაობა არ ეყოფა. არაა მარგველაშვილი ის კაცი, თანამდებობა ვადის ამოწურვამდე დატოვოს.

სამაგიეროდ, „ოცნება“ ბედავს ბევრს. ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს პრეზიდენტის ინსტიტუტის დისკრედიტაციისთვის და ვერ ხვდებიან, რომ ამით მარგველაშვილზე უფრო მეტად ქვეყანას აზარალებენ. „ოცნებას“ ავიწყდება, რომ პრეზიდენტი არის უმაღლესი მთავარსარდალი. ის ქვეყანაში ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებს – იწყალებს პატიმრებს, იწყებს საომარ მოქმედებებს, ნიშნავს მოსამართლეებს. რაც ძალიან არ აწყობს „ქართულ ოცნებას“ და ქვეყნის არაფორმალურ მმართველს, რომელსაც ხელისუფლების ყველა შტოს გაკონტროლება სურს. ეს თუ მოხდა, ჩვენ თურქმენიზაციის გზით წავალთ. ამის ნიშნები უკვე სახეზეა.

სახელისუფლებო გუნდი უკვე არავის ინტერესებს არ ითვალისწინებს. მიწის გაყიდვაზე დიდი ამბებია ატეხილი. ეს საკითხი ყველას აწუხებს, მაგრამ ხელისუფლება არავის აზრის გათვალისწინებას არ აპირებს.

***– ცნობილი გახდა, რომ დემოკრატიულმა მოძრაობამ იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ სარჩელი შეიტანეთ. რატომ უჩივით წულუკიანის უწყებას?***

– საჯარო ინფორმაციის დამალვისთვის. ჩვენ ცოტა ხნის წინ მივმართეთ იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრს და მოვითხოვეთ ის ინფორმაცია, რომელიც ქართული კანონმდებლობით არის საჯარო. საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულება ყველა საჯარო დაწესებულებას აქვს.

იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრმა საჯარო ინფორმაციის მოწოდებაზე გვითხრა უარი. ამიტომაც შეიტანა დიმიტრი ლორთქიფანიძემ სარჩელი.

***– რა ინფორმაციას ითხოვდით?***

– ჩვენ გვაინტერესებდა, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ რა რაოდენობით გაიყიდა მიწა. ასევე გვაინტერესებდა, სად გაიყიდა ეს მიწები და რამდენ უცხოელზე გაიცა ბინადრობის ნებართვა.

ხელისუფლება ამ ინფორმაციას ოფიციალურად მალავს, მაგრამ ჩვენ, ჩვენი წყაროებით მოვიძიეთ, თუ რა ხდება ამ მიმართულებით. ჩვენ მიერ მოძიებული ინფორმაცია დიმიტრი ლორთქიფანიძემ გაასაჯაროვა კიდევაც. ირკვევა, რომ კუმისის გარშემო ათეულობით ათასი ჰექტარი გაყიდულია არაბებზე, სადაც არაბული დასახლების გაკეთება იგეგმება. თბილისის ზღვის ტერიტორიაზე ჩინელებს 6 მილიონი კვადრატული მეტრი მიწა მიჰყიდეს. იქ ჩინური დასახლებები გაჩნდება.

## ბესო დანელია: „იუსტიციის სამინისტრო საჯარო ინფორმაციებს მალავს“

ასეთი ანტიეროვნული ხელისუფლება, როგორიც დღეს არის, იშვიათად მინახავს. ისინი არაფერს არ აკეთებენ, რომ ჩვენს შთამომავლობას დარჩეს მიწა. ის მიწა, რომლის დასაცავადაც ჩვენმა წინაპრებმა ტონობით სისხლი დაღვარეს.

***– თქვენ ზემოთ ახსენეთ, რომ ქვეყნის არაფორმალური მმართველი ცდილობს, რომ მთელი ძალაუფლება თავის ხელში მოაქციოს. ექსპერტების ნაწილი ფიქრობს, რომ თუ კალაძე თბილისის მერი გახდება, ის დამოუკიდებელ თამაშს დაიწყებს და ივანიშვილს პრობლემებს შეუქმნის. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?***

– გამორიცხულია, რომ კალაძემ დამოუკიდებელი პოლიტიკური თამაში დაიწყოს. ის ძალიან მაგარი და ავტორიტეტული ფეხბურთელი იყო, მაგრამ როგორც პოლიტიკოსი, არანაირ პატივისცემას არ იმსახურებს. ის არ აწარმოებს თანმიმდევრულ პოლიტიკას. არჩევნების წინ გაცემული დაპირებების 10%-საც არ ასრულებენ.

მე არ ვიცი, ექსპერტებს რა ინფორმაცია აქვთ, ჩემი აზრით, „ოცნებაში“ ვერც ერთი ადამიანი ვერ გაბედავს ივანიშვილისგან დამოუკიდებელი თამაშის დაწყებას. ეს დღეს ყოვლად წარმოუდგენელია. „ოცნება“ ყველაფერს მასთან ათანხმებს.

***– „ოცნებაში“ ღიად ამბობენ, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. ეს დაპირისპირებაც ივანიშვილთან არის შეთანხმებული?***

– ამას ივანიშვილთან შეთანხმება არ დასჭირდება. იმიტომ, რომ საბოლოოდ მაინც ყველაფერი ისე დასრულდება, როგორც არაფორმალურ მმართველს სურს. მისი ნების წინააღმდეგ არავინ არ წავა.

***– ამბობენ, რომ მაჟორიტარები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან არჩევნების მარტო პროპორციული სისტემით ჩატარებას. შეძლებენ ისინი, რომ თავისი გაიტანონ. თუ აქაც ივანიშვილი გადაწყვეტს?***

– საბოლოო გადაწყვეტილებას აქაც ივანიშვილი მიიღებს. მაჟორიტარები თუ მის დარწმუნებას შეძლებენ, მაშინ არჩევნები პროპორციული წესით აღარ ჩატარდება. მაჟორიტარების ასეთი თავგამოდება არ მიკვირს. ამ ადამიანმა მაჟორიტარობა საკუთარი ბიზნესის საუკეთესო დაცვის საშუალებად გადააქციეს. ამ ადამიანებს ლავირების საოცარი უნარი აღმოაჩნდათ. წლების წინ ისინი ნაციონალებს წარმოადგენდნენ. ახლა კი „ოცნების“ ავანგარდში არიან.

## საზოგადოებრივი მაუწყებელი რუსთავი 2-სგან მილიონამდე ლარის გადახდას ითხოვს

საზოგადოებრივი მაუწყებელი სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-სგან ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას სასამართლოს გზით ითხოვს. ამის შესახებ ინფორმაციას საზოგადოებრივი მაუწყებელი ავრცელებს. ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის

თანახმად, სარჩელი საქალაქო სასამართლომ წარმოებაში უკვე მიიღო.

გავრცელებულ ინფორმაციაში ნათქვამია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი რუსთავი 2-სგან ითხოვს ძირითადი ფულადი დავალიანების გადახდას შემდეგი ოდენობით: 13.575,47 აშშ დოლარი (გადახდის დღეს არსებული შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში); 100 ლარი; 12.828,68 ევრო (გადახდის დღეს არსებული შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში); 141.087,50 შვეიცარიული ფრანკი (გადახდის დღეს არსებული შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში).

აღნიშნული დავალიანება რუსთავი 2-ს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ წარმოეშვა მხარეთა შორის გაფორმებული სხვადასხვა ხელშეკრულების საფუძველზე, რაც აღიარებულია რუსთავის 2-ის მიერ.

ძირითადი დავალიანების გარდა, საზოგადოებრივი მაუწყებელი ითხოვს, რუსთავის 2-ს ასევე დაეკისროს პირგასამტეხლო სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისთვის.

## ზაალ უდუმაშვილი — თბილისის მერობის კანდიდატი

ცნობილი ჟურნალისტი და ტელეწამყვანი ზაალ უდუმაშვილი ჟურნალისტიკას ტოვებს და პოლიტიკაში ინაცვლებს. უდუმაშვილი, სავარაუდოდ, თბილისის მერობისთვის იბრძოლებს და ის 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მერობის ერთ-ერთი კანდიდატი იქნება.

თავად უდუმაშვილი ამ ინფორმაციას ჯერჯერობით ოფიციალურად არ ადასტურებს. ის ჩვენს სატელეფონო ზარებს არ პასუხობს.

## თვითმმართველობის არჩევნების თარიღთან დაკავშირებით პრემიერსა და პრეზიდენტს შორის კონსულტაციები მიმდინარეობს

– თვითმმართველობის არჩევნების თარიღთან დაკავშირებით პრემიერსა და პრეზიდენტს შორის კონსულტაციები უკვე დაწყებულია, – განცხადება საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერმა ეკა მიშველაძემ გუშინ გააკეთა. მისი თქმით, არჩევნების თარიღი სწორედ ამ კონსულტაციების შემდეგ გახდება ცნობილი.

– პრემიერმა და პრეზიდენტმა უკვე დაიწყეს კონსულტაციები. როგორც კი გახდება ცნობილი თარიღი, ვაცნობებთ საზოგადოებას, – აღნიშნა მიშველაძემ.

## მოსულში 163 მშვიდობიანი მოქალაქე დახვრიტეს

გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში უმაღლესი კომისრის ზეიდ რაად ალ ჰუსეინის ინფორმაციით, ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ გადაწყვეტილებით, ქალაქ მოსულში 163 მშვიდობიანი მოქალაქე დახვრიტეს.

– ადგილიდან ჩემი თანამშრომლები იუწყებიან, რომ მამაკაცების, ქალებისა და ბავშვების გვამები მოსულის დასავლეთით ალ-შირას უბანში, ქუჩაში ყრია. ადამიანები ტერორისტებმა ქალაქიდან გამოქცევის მცდელობისას დახვრიტეს, – აცხადებს უმაღლესი კომისარი.

წინასწარი ინფორმაციით, მასობრივი დახვრეტა 1 ივნისს განხორციელდა. ანალოგიური შემთხვევა მოხდა 7 აპრილსაც. ქალაქიდან გაქცევისას ტერორისტებმა ქალაქის სხვადასხვა უბანში 140 მშვიდობიანი მოქალაქე დახვრიტეს.

## საარჩევნო კომისიაში „ოცნებას“ ერთის ნაცვლად შესაძლოა ოთხი წევრი ჰყავდეს



პარლამენტში დარეგისტრირდა 15 პარლამენტარის მიერ ინიცირებული კანონპროექტი. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ წევრ ლევან ნატროშვილის განცხადებით, კანონპროექტის ითვალისწინებს, რომ შეიცვლება საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი, რომელიც მიებმება არჩევნების შედეგებს.

ნატროშვილის თქმით, პარტიების მიერ დანიშნული შვიდი წევრიდან დღეს თუ „ქართული ოცნება“ ნიშნავს მხოლოდ ერთს, ახალი წესით დანიშნავს ოთხს.

– დღეს მოქმედი კანონით 13 წევრია საარჩევნო ადმინისტრაციაში ცესკო-ში, ამ ცამეტი წევრიდან 6 ირჩევა პროფესიული ნიშნით, 7 წევრს კი ნიშნავს, პოლიტიკური პარტიები, დღეს მოქმედი წესით ნიშნავს ის შვიდი პარტია, რომლებსაც აქვთ ყველაზე დიდი სახელმწიფო დაფინანსება. დღევანდელი მოცემულობით, ამ შვიდი წევრიდან ერთს ნიშნავს „ქართული ოცნება“, დანარჩენს ექვსს – სხვა პარტიები. ამ ცვლილებით, თუ შევიდა ძალაში, მოხდება ასეთი რამ, რომ არჩევნების შედეგით განაწილდება ეს უფლება. იმ მიღებული ხმებით, რომლებიც მიიღო 2016 წლის არჩევნებში, ოთხი წევრის დანიშვნის უფლება ექნება, – ამბობს ლევან ნატროშვილი „პირველ რადიოსთან“.

ეს კანონი თუ ძალაში შევიდა, თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ მოხდება კომისიის წევრების განახლება და ეს კანონი იმოქმედებს 2020 წლამდე.

# თბილისში კიდევ ერთ აზერბაიჯანელ დისიდენტს დაემუქრნენ

## ახალი სკანდალური საქმე

– თბილისში მოტაცებული და ბაქოს ციხეში მყოფი აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის ადვოკატები სარჩელის შეტანას ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში აპირებენ. პროცესმა უკვე მიიღო სახელწოდება – „მუხთარლი საქართველოსა და აზერბაიჯანის წინააღმდეგ“. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი და ევროკავშირი ორი სამხრეთ-კავკასიური სახელმწიფოსათვის საკმაოდ არასასიამოვნო განცხადებებით გამოვიდნენ, – ნათქვამია რუსულ გამოცემა „ნეზავისიმაია გაზეტას“ მიერ გამოქვეყნებული სტატიის დასაწყისში (ავტორი – იური როქსი).

საინფორმაციო სააგენტო ნიუსპრესი გთავაზობთ პუბლიკაციის მოკლე შინაარსს:

– ბოლო ორი დღის განმავლობაში „აფგან მუხთარლის საქმესთან“ დაკავშირებით რაიმე პრინციპულად ახალი ამბავი არაფერი მომხდარა. ერთი ეგაა, რომ აზერბაიჯანის პროსამთავრობო მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აფგან მუხთარლის ნეგატიურ პორტრეტს „აუმჯობესებენ“: მოსახლეობას უსწავლიან, თუ როგორ აღმოჩნდა იგი მშობლიური ქვეყნის ტერიტორიაზე. მოკლედ რომ ვთქვათ, ბაქოს გაზეთების მტკიცებით, აფგან მუხთარლი ჟურნალისტი არ არის. იგი, მართალია, ჟურნალისტურ წრეებში ტრიალებდა, მაგრამ უფრო მეტად ანტიაზერბაიჯანული იატაკქვეშეთის ემისრის როლს ასრულებდა, აზერბაიჯან-საქართველოს „ცუდად დაცულ“ საზღვარზე გადად-გადმოდიოდა და ბაქოელ ოპოზიციონერებს ფულითა და ინსტრუქციებით ამარაგებდა. ამჯერად აფგან მუხთარლი სასაზღვრო ზონაში დააკავესო.

საქართველოს ხელისუფლება, რომელიც საზოგადოებისა და ოპოზიციის ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდა, ცდილობს სკანდალის ჩაქრობას, მაგრამ ამას საკმაოდ არათანმიმდევრულად აკეთებს და წინააღმდეგობრივ განცხადებებს აჟღერებს. ოფიციალური თბილისი ხან ამბობს, რომ არ გამორიცხავს საკადრო ცვლილებებს ძალოვან უწყებებში, ხან აცხადებს, რომ აფგან მუხთარლის გატაცებაში არავინ დამნაშავე არ არისო. მთავრობის ასეთი მოქმედება ახალ უხერხულ კითხვებს ბადებს, რომელთა პასუხად გაისმის, რომ დაელოდეთ გამოძიების შედეგებსო. რასაკვირველია, ქართულმა ოპოზიციამ ისარგებლა შექმნილი სიტუაციით და ქვეყნის ხელისუფლებას მკაცრად აკრიტიკებს: „მთავრობა დაბნეულია“, „უხეშად დაირღვა ადამიანის უფლებები“, „ზიანი მიადგა საქართველოს საერთაშორისო იმიჯს“ და ა.შ.

ფაქტობრივად, უშედეგო აღმოჩნდა პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის „კეთილი ჟესტი“, რომელიც კაზუსად გადაიქცა: პრემიერმა პრეზიდენტს აზერბაიჯანელი ჟურნალისტის ცოლ-შვილისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება სთხოვა, აფგან მუხთარლის ცოლმა ღეილა მუსტაფაევამ კი უარი განაცხადა საქართველოს მოქალაქეობაზე: ადრე ბინადრობის უფლებას გთხოვდით და უარი მითხარით, ახლა ქართული პასპორტი მე თვითონ აღარ მინდაო.

დასავლეთი ჯერ მდუმარედ ადევნებდა თვალს მოვლენებს, შემდეგ კი საქართველოსა და აზერბაიჯანის ხელისუფლებისათვის არასასიამოვნოდ „დაიქუხა“: საქართველომ წესიერად და გამჭვირვალედ უნდა გამოიძიოს მომხდარი ფაქტი, აზერბაიჯანმა კი დაჭერილი დისიდენტები გაათავისუფლოსო.

მაგრამ, როგორც ჩანს, მსგავსი „დაქუხებები“ ბაქოს ნაკლებად აღელვებს. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ჰიქმეთ გაჯიევმა დასავლეთს მოუწოდა, სიტუაციის დრამატიზებას ნუ მოახდენთო: „ის წრეები, რომლებიც სიტუაციის პოლიტიზებას ახდენენ, წარუმატებლად ცდილობენ, ზიანი მიაყენონ აზერბაიჯან-საქართველოს კავშირებს. ისინი ვერასდროს მიაღწევენ თავიანთ მიზნებს“.

როგორც ქართველი და აზერბაიჯანელი, ასევე დასავლელი იურისტები, ექსპერტები და უფლებადამცველები თვლიან, რომ აფგან მუხთარლისა და გეზელ ბაირმალის მდგომარეობა (იგი საქართველოს საზღვარზე დააკავეს „ვალუტის დიდი რაოდენობის უკანონოდ გადატანის მცდელობის“ გამო) საგანგაშოა და არ არის გამორიცხული, მათ ციხეში რაიმე მოუვიდეთ, რადგან ისინი დაუცველები არიან.

ამასობაში ქართველმა სამართალდამცავმა ორგანოებმა კიდევ ერთი სისხლის სამართლის საქმე აღძრეს, რომელიც „აფგან მუხთარლის საქმეს“ უკავშირდება: ვიდადი ისკანდერლიმ, რომელიც ასევე თბილისში ემალება ბაქოს ხელისუფლების რეპრესიებს, განაცხადა, რომ მას სახლთან ორი საეჭვო პიროვნება ელოდა. ისინი აზერბაიჯანელ აქტივისტს მშობლიურ ენაზე დაემუქრნენ. ვიდადი ისკანდერლიმ სახლში მიბრუნება მოასწრო და პოლიცია გამოიძახა.

## „პროსომხური ძალები ქართულ-აზერბაიჯანულ ურთიერთობას ზიანს ვერ მიაყენებენ“

აზერბაიჯანული გაზეთის 6 ივნისის ნომერში რამდენიმე მასალაა გამოქვეყნებული აფგან მუხთარლის საქმესთან დაკავშირებით:

– საკითხი ამოწურულია: აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კომენტარი გაუკეთა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისა და ევროკავშირის განცხადებას აფგან მუხთარლის დაკავებასთან დაკავშირებით. მასში აღნიშნულია, რომ საქართველოს შესაბამისმა სახელმწიფო სტრუქტურებმა უკვე გააკეთეს განცხადება ამ საკითხზე. ჩვენ ვთვლით, რომ აფგან მუხთარლის საქმის პოლიტიზების მცდელობა არასწორია, ეს საკითხი იურიდიულ სიბრტყეზე უნდა იყოს განხილული. ის წრეები, რომლებიც აზერბაიჯან-საქართველოს მეგობრული ურთიერთობის დარღვევას ცდილობენ, მიზანს ვერასოდეს მიაღწევენ.

– გამოცდილი მოკავშირე: „საქართველო და აზერბაიჯანი ორმხრივი ურთიერთობების გაუარესებას არ დაუშვებენ“. კომენტარს აკეთებს ქართველი ექსპერტი კახა გოგოლაშვილი. მისი თქმით, საქართველოს შიგნით და მის ფარგლებს გარეთ არიან ძალები, რომლებსაც მომხდარი ამბით საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებული მტკიცე ურთიერთობის გაფუჭება სურთ, მაგრამ რადგანაც ეს ორივე ქვეყნის მთავრობამ კარგად იცის, ისინი უფლებას არ მისცემენ ამ ძალებს, თავიანთი მიზნები შეისრულონ.

აზერბაიჯანი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია, ორ ქვეყანას შორის მტკიცე ეკონომიკური ინტეგრაცია არსებობს, აზერბაიჯანს დიდი ინვესტიციები აქვს ჩადებული საქართველოს ეკონომიკაში, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, ღრმავდება საქართველო-აზერბაიჯანის სამხედრო თანამშრომლობაც... მოკლედ, ბაქოსა და თბილისის ურთიერთობას ალტერნატივა არ აქვს“.

– შანტაჟი ვერ გაუვათ: პროსომხური ძალები ქართულ-აზერბაიჯანულ ურთიერთობას ზიანს ვერ მიაყენებენ. სტატიაში კომენტარს აკეთებს საქართველოში მოქმედი სახალხო მოძრაობა „გეირათის“ ხელმძღვანელი ასკერ ალიბაღლა: პროსომხური ძალები მუდამ ეჭვით უყურებდნენ აზერბაიჯანისა და საქართველოს ძმურ დამოკიდებულებას. ისინი ყოველთვის იყვნენ და იქნებიან, ყოველთვის გამოიყენებენ სხვადასხვა მეთოდებს ორი მოძმე ქვეყნის ურთიერთობის გასაფუჭებლად, მაგრამ ხრიკები არ გაუვათ.

პროსომხურ ძალებს აფგან მუხთარლის საქმესთან დაკავშირებით შოუს დადგმა სურთ, მაგრამ ასეთი მცდელობა ვერანაირ ზიანს ვერ მიაყენებს ორი მეზობელი ხალხის მეგობრობას, რომელსაც ღრმად აქვს გადგმული ფესვები.

## აფგან მუხტარლი პატიმრობაში რჩება

ბაქოს სააპელაციო სასამართლომ ჟურნალისტ აფგან მუხტარლის ადვოკატის სარჩელი პატიმრობის გაუქმების შესახებ არ დააკმაყოფილა.

სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ ილგარ მურგუზოვმა საბაილინის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

შეგახსენებთ, რომ მუხტარლი ოფიციალურად დაკავებულია სახელმწიფო საზღვრის არალეგალურად გადატანასა და კონტრაბანდის გადატანის ბრალდებით, ასევე ჟურნალისტმა საზღვარი 29 მაისს დაარღვია.

მას ასევე ბრალდება საზღვრის დაცვის სამსახურისთვის წინააღმდეგობის გაწევა.

აზერბაიჯანელი ჟურნალისტი, რომელიც აზერბაიჯანის ხელისუფლებისადმი კრიტიკული განწყობის გამო იდევნებოდა, საქართველოში ლეგალურად ცხოვრობდა, თუმცა მოულოდნელად ის აზერბაიჯანში აღმოჩნდა, მისი ოჯახისა და დაცვის მხარის განცხადებით, მუხტარლი საქართველოდან გაიტაცეს.

## „ვინც საქართველოში დასვენებას აპირებთ, გაითვალისწინეთ, რომ ერთ დღეს შეიძლება ბაქოში აღმოჩნდეთ“

სომხური გამოცემის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში (ორიგინალი სათაური: „უთხარით არა მოწევას და საქართველოში ვიზიტს“) გადმოცემულია, თუ როგორაა განხილული, ასახული და შეფასებული სომხურ ბლოგოსფეროსა და სოციალურ ქსელებში საქართველოში აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის გატაცების ფაქტი (ავტორი – ლუიზა ათანესიანი).

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ამონარიდს სტატიიდან:

**ბლოგერი მიქაელ ზარიანი წერს:**

– საქართველოში მომხდარ ინციდენტზე სომხურ პრესაში თავშეკავებული გამოხმაურებაა. სომხური არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურად არ გამოდიან, რათა აზერბაიჯანელებს საბაბი არ მისცენ. იმის გათვალისწინებით, თუ როგორი აღვირახსნილი ანტისომხური კამპანია მიმდინარეობს აზერბაიჯანში, თითოეული სომეხი მიხვდება, რომ ეს სწორი გადაწყვეტილებაა, რათა დაპატიმრებულის ინტერესებს ზიანი არ მიადგეს.

**ბლოგერი გაგიკ ამბარიანი:**

– თავის დროზე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, იმ მიზნით, რომ ქვეყანა რუსული „გაზპრომის“ საცეცებისაგან გაეთავისუფლებინა, იმედის მზერა ალტერნატივას – აზერბაიჯანს მიაპყრო, მაგრამ რა გამოვიდა? საქართველო ახლა უკვე აზერბაიჯანის მონობაში მოექცა. სწორედ ეს გარემოება განაპირობებს იმას, რომ ილჰამ ალიევი ბანდიტური მეთოდებით მოქმედებს მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე რასაც უნდა, იმას აკეთებს, ქართველები კი თავს ისე იმართლებენ, რომ გაგეცინება. პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა დემოკრატიული საქართველო თვალის დახამხამებაში გადააქცია დიქტატორული აზერბაიჯანის ფორპოსტად. მეტსაც ვიტყვი: ამ სიტუაციით ნათელი ხდება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე სომხებიც დაუცველები არიან, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც დაკავებულნი არიან საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობით.

ეს აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ჩვენმა თანამემამულეებმა, რომლებიც ზაფხულის გატარებას საქართველოში აპირებენ. არაა გამორიცხული, რომ ილჰამ ალიევის ნებით თქვენ შეიძლება ბაქოში აღმოჩნდეთ: ქართული სპეცსამსახურები ხომ უფრო მეტად ილჰამს ემორჩილებიან, ვიდრე საკუთარ ხელმძღვანელს.

## აბესაძე: „მაჟორიტარული სისტემის შენარჩუნება ხელისუფლებაზე ჩაბღაუჭების მცდელობაა“

მმართველი გუნდის მხრიდან წამოსულ მოსაზრებებს მაჟორიტარული სისტემის შენარჩუნებასთან დაკავშირებით „ევროპული საქართველოს“ წევრი ირაკლი აბესაძე გამოეხმაურა. აბესაძის თქმით, მაჟორიტარული სისტემის შენარჩუნება ხელისუფლებაზე ჩაბღაუჭების მცდელობაა:

– მას შემდეგ, რაც როგორც ჩანს, ისინი ვერ ახერხებენ საერთაშორისო საზოგადოების თუ ქვეყნის შიგნით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების დარწმუნებას და მოტყუებას კვლავ ალაპარაკდნენ მაჟორიტარული სისტემის შენარჩუნებაზე, ანუ ხელისუფლებაზე ჩაბღაუჭების მცდელობაზე, – განაცხადა ირაკლი აბესაძემ.

აბესაძის თქმით, ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული სისტემაც ბევრ ხარვეზს შეიცავდა და სისტემა რეალურად ითვალისწინებდა შესაძლებლობას, რომ ხელისუფლება მცირე საარჩევნო მხარდაჭერის მქონე პოლიტიკური პარტიის მიერ ყოფილიყო მითვისებული:

– გადაწყვეტილება საარჩევნო სისტემის შეცვლის შესახებ არ მიიღება პარლამენტის შენობაში და იმ საპარლამენტო უმრავლესობის მიერ, რომელიც დღეს განცხადებებს აკეთებს. გადაწყვეტილებას იღებს ივანიშვილი. აქედან გამომდინარე, დღეს საუბარი მაჟორიტარული სისტემის შენარჩუნებაზე კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ მათ მიერ შემოთავაზებული თითქოს სამართლიანი პროპორციული საარჩევნო სისტემა რეალურად ითვალისწინებდა შესაძლებლობას, მითვისებული ყოფილიყო ხელისუფლება მცირე საარჩევნო მხარდაჭერის მქონე პოლიტიკური პარტიის მიერ, – განაცხადა ირაკლი აბესაძემ.

## „მეუფე იაკობს ციხის კარი ჩაკეტილი აქვს“



მეუფე იაკობი არის ერთადერთი ეპისკოპოსი, რომელიც კრძალავს და რომელსაც გადაკეტილი აქვს ციხის კარები – ეს განცხადება, მამა გიორგი მამალაძის ძმამ ტვ „პირველის“ ეთერში გააკეთა. თორნიკე მამალაძე ამბობს, რომ ამის შესახებ ინფორმაცია მას სასულიერო პირებმა მიაწოდეს. მისი თქმით, მეუფე პეტრეს მოწოდების შემდეგ დეკანოზ გიორგი მამალაძის მონახულების სურვილი რამდენიმე „გავლენიანმა“ სასულიერო პირებმა გამოთქვეს, თუმცა მათ ამის უფლება მეუფე იაკობმა არ მისცა.

– ერთადერთი ქორეპისკოპოსია მეუფე იაკობი, რომელიც გვიკრძალავს და ჩვენ მის წინააღმდეგ ვერ წავალთო. იმიტომ ვერ მივდივართ მის წინააღმდეგ, რომ ამ ეკლესიას ხელის მოსმით ჩამოგვართმევსო, – განაცხადა მამალაძემ.

# „ლარში ფასდადებისას უძრავი ქონების ფასი ხელოვნურად გაიზრდება“

პირველი საკრედიტო კავშირის აღმასრულებელი დირექტორის გივი კორინთელის განცხადებით, მშენებლობა გრძელვადიანი პროცესია და ამდენად, უძრავი ქონების ლარში ფასდადებით, ლარის გაუფასურების მიმართ ბიზნესის მოლოდინის გამო და ზოგადად ფინანსური რისკების გადასაზღვევად, ფასები ხელოვნურად გაიბერება. ამის შესახებ კორინთელმა რადიო „კომერსანტის“ ეთერში ისაუბრა.

როგორც ცნობილია, დედოლარიზაციის სამთავრობო პროგრამის ფარგლებში, დეველოპერულ კომპანიებს ახალი ვალდებულება უჩნდებათ, მათ უძრავი ქონების ფასდადება ლარში უნდა დაიწყონ. ეს ცვლილება ძალაში 2017 წლის ივლისიდან შედის.

გივი კორინთელის განცხადებით, ლარში ფასდადებისას დეველოპერი, მშენებელი ბიზნესს სავალუტო რისკებისგან დააზღვევს, რაც ფასების ხელოვნურად გაზრდას გამოიწვევს.

– კანონპროექტში წერია, რომ ლარში ფასდადება აუცილებელი იქნება, თუმცა დოლარის გამოყენებაც შესაძლებელია. ჩემთვის, როგორც სამშენებლო სექტორში მომუშავე ადამიანისთვის, ეს ცოტა გაუგებარია, რადგან თუ გვინდა, რომ ლარს მივყვეთ, მაშინ დოლარში ფასის დატოვება აზრს კარგავს.

თუ კანონში იქნება მკაცრად გაწერილი, რომ ფასი მხოლოდ ლარში დაფიქსირდეს, ლარის გაუფასურების მიმართ ბიზნესის მოლოდინი ხელოვნურად ჩაიდება. მშენებლობა საცალო პროდუქტი არ არის და ეს არის გრძელვადიანი პროცესი.

ლარში ფასდადების და ზოგადად ლარიზაციის შედეგი მაშინ გამოჩნდება, თუ გაუფასურების ტრადიციულ თვეებში – სექტემბრიდან იანვრის ჩათვლით, ლარი არ გაუფასურდება. მაგრამ ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ ბიზნესს გაუფასურების მოლოდინი სულ ექნება. მაგალითად, თუ დღეს კურსი 2, 20-ია, სამშენებლო სექტორი თავის პროდუქციაზე ფასის დაახლოებით 20-30-პუნქტიან სხვაობას ჩადებს. ეს არის საშუალო სტატისტიკური მშენებლის გათვლა, რომელმაც თავისი ისედაც მრავალრისკიანი ბიზნესი სავალუტო რისკებისგან უნდა დააზღვიოს. ფინანსური რისკების გადასაზღვევად ფასები ხელოვნურად გაიბერება, – აღნიშნა კორინთელმა.

კითხვაზე, ლარში ფასდადების გამო, უძრავი ქონების გაძვირება თუ გარდაუვალი გახდა, დეველოპერები გაძვირების თავიდან ასაცილებლად ხარისხს ხომ არ დასწევენ, კორინთელი პასუხობს, რომ ხარჯების დაზოგვა გარდაუვალი იქნება.

– დეველოპერს ორი გზა დარჩება – ან უძრავი ქონების ფასი უნდა გააძვიროს, რაც რთულია ასეთ კონკურენტუნარიან გარემოში, ან ხარჯები უნდა დაზოგოს. ნაკლებად მგონია, რომ ვინმე საძირკველში არმატურას ან ბეტონს დაზოგავს, ეს გამორიცხულია, მაგრამ სხვა სამშენებლო მასალებზე ფულის დაზოგვა შესაძლოა მოხდეს. ბიზნესი მოლოდინით ცხოვრობს, თუ დეველოპერმა დაინახა, რომ ის ვალუტა უფასურდება, რა ვალუტაშიც უნდა გაყიდოს, ბუნებრივია, დაზოგვას დაიწყებს, – განაცხადა გივი კორინთელმ.

## პარლამენტში „საფინანსო კომპანია საქართველოს“ საქმეზე მომხსენებელთა ჯგუფი შეიქმნა

საქართველოს პარლამენტში შპს „საფინანსო კომპანია საქართველოსთან“ დაკავშირებული საკითხის შესასწავლად მომხსენებელთა ჯგუფი შეიქმნა. პარლამენტის მომხსენებელთა ჯგუფში შედიან გურამ მაჭარაშვილი, ირაკლი ბერაია, გუგა გულორდავა, სალომე ზურაბიშვილი.

როგორც ბმ.გე წერს, მომხსენებელთა ჯგუფი უზრუნველყოფს საფინანსო კომპანია საქართველოს საკითხის შესწავლას და 2017 წლის 20 ივლისამდე საქართველოს პარლამენტის ბიუროს წარუდგენს სარეკომენდაციო დასკვნას.

„საფინანსო კომპანია საქართველოს“ მეანაბრეებს თანხების აღების პრობლემა გასული წლის სექტემბრიდან შეექმნათ. მაშინ მეანაბრეები აცხადებდნენ, რომ კომპანიას 30 მილიონ დოლარზე მეტი აქვს მიღებული მოქალაქეებისგან. ისინი ზარალის ანაზღაურებას მთავრობისგან ითხოვდნენ.

მოგვიანებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა მოქალაქეთა კუთვნილი განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხის ჯგუფურად გაფლანგვის ბრალდებით შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ დირექტორი თამაზ ლობჟანიძე და ამავე კომპანიის მმართველი მერაბ ფერაძე დააკავა. საუბარია 76 მილიონი ლარის მითვისებაზე.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის (მითვისება და გაფლანგვა) მესამე ნაწილით, რაც სასჯელით სახით ითვალისწინებს 7-დან 11 წლამდე პატიმრობას.

როგორც რამდენიმე დღის წინ „კომერსანტთან“ საუბრისას „საფინანსო კომპანია საქართველოს“ დაზარალებული მეანაბრეების წარმომადგენელმა აკაკი ჩარგეიშვილმა განაცხადა, დღეს მეანაბრეები რთულ მდგომარეობაში არიან, დაზარალებულია 2 300 ოჯახი, 11 ადამიანი გარდაცვლილია და სახელმწიფოს ისინი უყურადღებოდ ჰყავს დატოვებული.

იურისტის თქმით, პარლამენტში ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მამუკა მდინარაძის ინიციატივით შეიქმნა 3-კაციანი სამუშაო ჯგუფი და მაჟორიტარმა დეპუტატმა გურამ მაჭარაშვილმა აქტიურად იმუშავა საკითხის შესწავლაზე, თუმცა პრობლემის გადასაწყვეტად საჭიროა საკოორდინაციო ან საგამოძიებო კომისიის შექმნა.

– 2016 წლის სექტემბრიდან, როდესაც პრობლემები დაიწყო, დღემდე მთავრობას არანაირი ღონისძიება არ გაუტარებია. სისხლის სამართლის საქმეა აღძრული ფინანსური პირამიდის ავტორის – მერაბ ფერაძის მიმართ და სხვა კონკრეტული არაფერი ყოფილა. საკითხი აბსოლუტურად ღიაა დარჩენილი, არავინ იცის, რეალურად რა თანხაზეა საუბარი, რამდენი მეანაბრის მიმართაა დავალიანება. საჭიროა ამ საკითხის შესწავლა, რომ შემდეგ მთავრობამ იმოქმედოს და გასცეს დავალებები კონკრეტული უწყებების მიმართ, – აცხადებდა ჩარგეიშვილი.

## „ქართული წარმოება დემპინგური და სუბსიდირებული იმპორტისგან უნდა დავიცვათ“

მწარმოებელთა ფედერაციის პრეზიდენტის ლევან სილაგავას თქმით, საქართველოში წარმოებული პროდუქცია ევროპულ ბაზარზე მასობრივად და სტაბილურად უნდა იყოს წარმოდგენილი, რათა ის კონკურენტუნარიანი გახდეს.

როგორც ლევან სილაგავამ რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „პროფესიონალები“ განაცხადა, ქვეყანაში არის რამდენიმე კომპანია, რომლებიც მაღალტექნოლოგიურ პროდუქტს ქმნიან და ევროპულ ბაზარზე გადიან.

– არის ტელევიზორების მაღალტექნოლოგიური ქარხანა, „საქკაბელი“, რომელიც ფრანგულ ბაზარზე გასვლას ცდილობს, ლუდის მწარმოებლები, რომლებიც ასევე მაღალტექნოლოგიურ პროდუქციას ქმნიან. ასევე, სოფლის მეურნეობის მიმართულებაშიც არის გარკვეული კომპანიები. ქვეყანაში წარმოებული პროდუქცია ევროპაში გადის და წარმატებითაც, თუმცა უნდა აღინიშნოს ის პრობლემები, რომლებიც არის. საექსპორტო პროდუქცია მასობრივი უნდა იყოს და მიწოდების სტაბილურობა იყოს შექმნილი, რათა ის კონკურენტუნარიანი გახდეს. შეიძლება კომპანიამ მაღალტექნოლოგიური პროდუქცია გამოუშვას, მაგრამ ქსელურ კომპანიებში სტაბილური მიწოდება ვერ უზრუნველყოს. ასე რომ, მიწოდების სტაბილურობა ძალიან მნიშვნელოვანია, როცა პროდუქცია ექსპორტზე გადის, – განაცხადა სილაგავამ.

კითხვაზე, არის თუ არა საქართველოში წარმოებული პროდუქცია კონკურენტუნარიანი იმპორტირებული პროდუქციის მიმართ, სილაგავა პასუხობს, რომ იმპორტირებულთან კონკურენცია ძალიან უჭირს და ამის დასარეგულირებლად კანონმდებლობაში ცვლილებებია საჭირო.

– ეს საკითხი ადგილობრივი წარმოებისთვის და ჩვენი ფედერაციისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. აქ შექმნილი პროდუქცია კი გვაქვს, მაგრამ უნდა დავაკვირდეთ არა მარტო იმ ფაქტს, თუ როგორ გავიტანოთ ექსპორტზე, არამედ მისი ქვეყანაში რეალიზება როგორ მოვახდინოთ.

კი ვამბობთ, რომ საქართველოში ბაზარი მცირეა, მაგრამ ფაქტია, ყოველწლიურად ხუთი მილიარდი დოლარის იმპორტული პროდუქცია შემოდის. სამწუხაროდ, ქვეყანაში იმპორტირებული პროდუქციის წილი 80%-ია, ადგილობრივის – 20%. ხშირად ადგილობრივ წარმოებას იმპორტირებულ პროდუქციასთან ადგილზე კონკურენციის გაწევა ძალიან უჭირს.

იმას არ ვამბობ, რომ ადგილობრივ წარმოებას სასათბურე პირობები შევუქმნათ. აქ საუბარია სწორი კონკურენციის პირობებზე. საქართველოში კონკურენციის შესახებ კანონი მუშაობს, მაგრამ პაკეტში კიდევ ერთი კანონი გვჭირდება, რომელიც იქნება გარკვეულწილად ქართული ბაზრის დაცვა დემპინგური და სუბსიდირებული პროდუქციისგან. მსოფლიოში ბევრი ქვეყანაა, რომელიც თავის პროდუქციას სუბსიდირებასა და დემპინგს უკეთებს, – აღნიშნა ლევან სილაგავამ.

მისივე თქმით, ამ მხრივ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი მთავრობამ უკვე გადადგა – კერძოდ, შესყიდვების სააგენტოში მომზადდა კანონი, რომლის მიხედვითაც ქართულ პროდუქციას, წახალისების მიზნით, ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში გარკვეული შეღავათები დაუწესდება.

## მსოფლიო ბაზარზე ოქრო გაძვირდა

ოქროს ფასმა ბოლო 7 კვირის მაქსიმუმს მიაღწია.

„კომექსის“ ოქროს ფიუჩერსი ტროას უნციაზე 1 296.40 დოლარამდე გაიზარდა, რაც 17 აპრილის შემდგომ უმაღლესი ნიშნულია.

ოქროზე მოთხოვნა განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, რაც არაბული სამყაროს ქვეყნებმა კავშირი გაწყვიტეს ყატართან, რომელსაც ისინი ტერორიზმის მხარდაჭერაში ადანაშაულებენ.

ოქროს გარდა, გაიზარდა მოთხოვნა ვერცხლზეც, რომლის ტროას უნციის ფასმაც 17.62 დოლარს მიაღწია. შუაღამისას ვერცხლის ფასი 17.71 დოლარამდე იყო გაზრდილი, რაც 25 აპრილის შემდეგ უმაღლესი მაჩვენებელია.

ანალიტიკოსთა განცხადებით, ოქროზე ფასების ზრდა საფონდო, სავალუტო და სასაქონლო ბაზრებზე ინვესტორების მიერ რისკებისგან თავშესაფრის ძიებამ გამოიწვია. ასეთი ძირითადი აქტივები კი არის ოქრო, გერმანიის სახელმწიფო ობლიგაციები და იაპონური იენი. შესაბამისად, მათი ფასი იზრდება. რისკფაქტორებს შორისაა გამწვავებული სიტუაცია სპარსეთის ყურის რეგიონში, ბრიტანეთის არჩევნები და გამოძიების ფედერალური ბიუროს ყოფილი შეფის საქმის მოსმენები სენატში.

გარდა ამისა, ინვესტორები გამოძიების ფედერალური ბიუროს ყოფილი დირექტორის, ჯეიმს კომის სენატის საგამოძიებო კომიტეტის წინაშე წარდგომის მოლოდინში არიან. საქმის მოსმენები ხუთშაბათს არის დანიშნული და პროცესმა შესაძლოა პრობლემები შეუქმნას პრეზიდენტ დონალდ ტრამპს.

პარალელურად, ბრიტანეთში ITV-ს მიერ ორგანიზებულმა გამოკითხვამ აჩვენა, ხუთშაბათის არჩევნების წინ, რომ პრემიერ-მინისტრ ტერეზა მეის კონსერვატიულ პარტიას, მხოლოდ 1-პროცენტიანი უპირატესობა აქვს ოპოზიციურ ლეიბორისტულ პარტიასთან. უფრო ადრე ჩატარებული სხვა გამოკითხვები აჩვენებდა, რომ კონსერვატორებს გაცილებით დიდი უპირატესობა ჰქონდათ. თუ მეის პარტია სოლიდური უპირატესობით გამარჯვებას ვერ შეძლებს, ეს ბრექსიტის მოლაპარაკებისას მის პოზიციებს შეასუსტებს. კონსერვატორების მიერ უმრავლესობის დაკარგვას კი არეულობის გამოწვევა შეუძლია.

ეს ყველაფერი რისკიან აქტივებზე მოთხოვნის კლებას და ინვესტორების რისკებისგან თავშესაფარ აქტივებზე გადასვლას განაპირობებს. ოქროს ფასს ის ფაქტორიც ზრდის, რომ ბაზარი აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სააგენტოსგან დოლარზე საპროცენტო განაკვეთის ზრდის ტემპის შენელებას ელის. ამ გარემოების გამო, კლებულობს მოთხოვნა დოლარზე და მისი ინდექსი, რომელიც ექვს წამყვან ვალუტასთან მიმართებაში დოლარის საშუალო მდგომარეობას ასახავს, იკლებს. ნიუ იორკის სავაჭრო სესიის ბოლოს, დოლარის ინდექსი 96.69-მდე შეეცირდა, რაც ნოემბრის შემდეგ ყველაზე დაბალი ნიშნულია.

## მუნიციპალურ ტრანსპორტში მგზავრობისას სხვადასხვა ბანკის პლასტიკური ბარათების გამოყენება იქნება შესაძლებელი

– ჩვენ ძალიან მალე გამოვაცხადებთ მუნიციპალურ ტრანსპორტში უფრო უნივერსალური გადახდის სისტემაზე კონკურსს, რომელიც არა მხოლოდ მეტროს ბარათებით გადახდას უზრუნველყოფს, არამედ სხვადასხვა ბანკის პლასტიკური ბარათების გამოყენებით, – ამის შესახებ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ ჟურნალისტებს განუცხადა.

მისივე თქმით, სხვადასხვა ბანკის პლასტიკური ბარათით მგზავრობის საფასურის გადახდის შესაძლებლობა ტურისტებისთვისაც და ადგილობრივი მოსახლეობისთვისაც კომფორტული იქნება.

– ჩვენ საკმაოდ მოცულობითი კვლევები ჩავატარეთ საზოგადოებრივ ტრანსპორტთან და მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, რომლის პირველი ეტაპიც იყო ახალი ავტობუსების პროექტი, მიმდინარეობს მეტროს მოდერნიზაციის პროექტი, რომელიც ჩვენი შემდგომი პრიორიტეტია. ცვლილებები ეხება ხარისხის გაუმჯობესებას, ამ ეტაპზე ტარიფთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით კონსულტაციები არ მიმდინარეობს. გადახდის სისტემა უმჯობესდება, ჩვენ ძალიან მალე გამოვაცხადებთ ახალი, უფრო უნივერსალური გადახდის სისტემაზე კონკურსს, რომელიც არა მხოლოდ მეტროს ბარათებით გადახდას უზრუნველყოფს, არამედ პლასტიკური ბარათებითაც იქნება გადახდა შესაძლებელი, სხვადასხვა ბანკის ბარათების გამოყენებით, რაც ტურისტებისთვისაც ადგილობრივი მოსახლეობისთვისაც ძალიან კომფორტული იქნება, – განაცხადა ნარმანიამ.

მისივე თქმით, აღნიშნულ საკითხზე განცხადებები ხვალ თბილისის მთავრობის სხდომაზე გაკეთდება.

## ერთი კვირის განმავლობაში საგადასახადო სამართალდარღვევის 703 ფაქტი გამოვლინდა

29 მაისიდან 4 ივნისის ჩათვლით, საგადასახადო სამართალდარღვევის 703 ფაქტი გამოვლინდა.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს.

მათი ცნობით, მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გამოუყენებლობის 616 ფაქტი გამოვლინდა.

– ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ, ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული მიმდინარე კონტროლის ღონისძიების შედეგად, საგადასახადო სამართალდარღვევის 703 ფაქტი გამოვლინდა. კერძოდ, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის ოფიცრების მიერ შემოწმდა 8.492 გადამხდელი, რის შედეგადაც დაფიქსირდა შემდეგი საგადასახადო სამართალდარღვევები: საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირების 37 ფაქტი; ეკონომიკური საქმიანობის გადასახადის გადამხდელად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით განხორციელების 50 შემთხვევა; მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გამოუყენებლობის 616 ფაქტი, – აღნიშნულია შემოსავლების სამსახურის ინფორმაციაში.

## ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში ფერმიდან 27 სული ძროხა მოიპარეს

ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში მცხოვრებ დავით ელიოზიშვილს ფერმიდან 27 სული ძროხა მოჰპარეს. ოჯახმა მომხდარის შესახებ გუშინ შეიტყო და ვარაუდობს, რომ ადგილი აქვს ორგანიზებულ, ჯგუფურ დანაშაულს.

ოჯახისთვის მიყენებული ზარალი რამდენიმე ათას ლარს შეადგენს. მომხდარზე გამოძიება ქურდობის მუხლით დაიწყო.

ადგილობრივების ინფორმაციით, სოფელში ეს საქონლის ქურდობის პირველი ფაქტი არ არის.'

## რუსთაველზე მომხდარი ავარიის საქმეზე ბრალდებულს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

თბილისში, რუსთაველზე მომხდარი ავარიის საქმეზე ბრალდებულს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. მასვე ჩამოერთვა მართვის უფლება 3 წლის ვადით. შესაბამის ინფორმაციას საქალაქო სასამართლო ავრცელებს.

– გიორგი ჯ.-ს ბრალად ედებოდა ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც გამოიწვია რამდენიმე ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება და ერთი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

საქმის მასალების თანახმად, 2017 წლის 24 იანვარს, „მერსედესის“ მარკის ავტომობილის მძღოლმა, თანმხვედრად მიმავალი ავტომანქანის გასწრების მიზნით, გადაკვეთა ორმაგი უწყვეტი ღერძულა ხაზი და შეეჯახა ორ ავტომანქანას, შედეგად გარდაიცვალა ერთი პირი და დაშავდა რამდენიმე მგზავრი.

სასამართლომ მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და სხდომებზე გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მათ შორის ბრალდებულის აღიარებითი ჩვენების გათვალისწინებით, დადგენილად მიიჩნია ბრალდებულის მხრიდან ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენის ფაქტი და საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა.

განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში“, – ნათქვამია სასამართლოს განცხადებაში.

## „ირაკლი გედენიძის ჩვენების ჩაწერისას დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ის წინასწარ იყო დაწერილი“

შსს-ს ყოფილი ვიდეოოპერატორის ლევან შერმადინის ინფორმაციით, ირაკლი გედენიძის ჩვენების ჩაწერისას მას შთაბეჭდილება დარჩა, რომ ის წინასწარ იყო დაწერილი. ამის შესახებ მან ე.წ. ფოტორეპორტიორების საქმეზე სასამართლო პროცესზე განაცხადა.

შერმადინმა დეტალურად გაიხსენა ის დღე, როდესაც ფოტოგრაფები დააკავეს და ის მოდულის შენობაში მივიდა, რათა აღიარებითი ჩვენებები ჩაეწერა.

– სამინისტროში ვიყავი, როცა მოვიდა პრესსამსახურის უფროსი ზურა გვენეტაძე და მითხრა, რომ უნდა გავსულიყავით. აპარატურა ჩავალაგე და წავედით საბურთალოზე. გზაში ზურას ვიღაცამ დაურეკა. ზურა უფრო უსმენდა, თითქმის არ პასუხობდა არაფერს. მერე მითხრა ზურა გვენეტაძემ, რომ დააკავეს ის ფოტოგრაფები, ვინც 26 მაისს ფოტოები გადაიღეს და გაავრცელეს და ისინი უნდა ჩაგვეწერა. ვკითხე, ვინ იყვნენ დაკავებულები და მითხრა, რომ ირაკლი და ნათია გედენიძეები, ასევე ზურაბ ქურციკიძე და გიორგი აბდალაძე. არ მესიამოვნა ეს ინფორმაცია, ვინაიდან ნათია და ირაკლი გედენიძეებს, ასევე გიორგი აბდალაძეს დიდი ხანია ვიცნობ, ზურაბ ქურციკიძეს კი – შორიდან, – განაცხადა შერმადინმა.

როგორც შსს-ს ყოფილმა ოპერატორმა აღნიშნა, ისინი მოდულის შენობაში მივიდნენ და ერთ-ერთ ოთახში მოაწყო კამერა, სადაც უნდა ჩაეწერა ჩვენება. – შემოიყვანეს ირაკლი გედენიძე.

ძალიან ანერვიულებული იყო. ვუთხარი, თუ გინდა საერთოდ არ გადავიღებ-თქო, რაზეც მითხრა, რომ მისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა და გამეკეთებინა ჩემი საქმე. ძალიან ბევრი დუბლი ჩავწერეთ ირაკლის ჩვენების. იმ ოთახში იყო ზურა გვენეტაძეც და როცა ვისმენდი ირაკლის ლაპარაკს, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ტექსტი წინასწარ იყო დაწერილი, თითქოს ზურა გვენეტაძემ წინასწარ იცოდა, რას იტყოდა გედენიძე, ისეთ კითხვებს სვამდა. ჩაწერისას ოთახში შემოვიდა ერთი პირი, შემოიტანა ფურცელი და ირაკლის წინ დაუდო. მე არ ჩამიხედავს ამ ფურცელში და არ ვიცი შიგნით რა ეწერა.

ირაკლი გედენიძის ჩაწერა რომ დავამთავრეთ, ოთახში შემოიყვანეს ნათია გედენიძე. მისი ჩვენების ჩაწერას უფრო ნაკლები ცდა დასჭირდა. ამის მერე მე და ზურა უნდა წავსულიყავით მასალის მოსამზადებლად და როდესაც ოთხიდან გამოვედი, დავინახე რამდენიმე ადამიანი, გავიგონე ასევე შსს-ს ადმინისტრაციის უფროსი შოთა ხიზანიშვილი ვიღაცას ელაპარაკებოდა. არ დამინახავს, ვინ იყო, მაგრამ მივხვდი, რომ მაღალჩინოსანი იყო, ეუბნებოდა, ყველაფერი კარგადააო, – განაცხადა შსს-ს ყოფილმა ოპერატორმა.

## სოსო ბარათაშვილი: „მუსტაფა ემრე ჩაბუქის საქართველოდან ექსტრადირება ამ ეტაპზე ვერ მოხდება“

დემირელის კოლეჯის ერთ-ერთი ხელმძღვანელის მუსტაფა ემრე ჩაბუქის საქართველოდან ექსტრადირება ამ ეტაპზე ვერ მოხდება. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ჩაბუქის ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა განუცხადა.

მისი განმარტებით, დაწყებულია მუსტაფა ემრე ჩაბუქისთვის საქართველოს მიერ სტატუსის მინიჭების საქმის წარმოება, რაც ექსტრადირებას ავტომატურად კრძალავს.

– მუსტაფა ემრე ჩაბუქის საქართველოდან ექსტრადირება დღეის მდგომარეობით ვერ მოხდება, ვინაიდან ლტოლვილთა სამინისტროში განხილვის პროცესშია მისი განაცხადი თავშესაფრისა და ლტოლვილის სტატუსის მინიჭების საქმეზე. სანამ ეს საკითხი არ გადაწყდება, დაუშვებელია, რომ მუსტაფა ემრე ჩაბუქის ექსტრადირება მოხდეს. ეს არ ნიშნავს, რომ ექსტრადირების მიზანშეწონილობის საკითხის შესწავლა საერთოდ შეწყდება. თუმცა თუ ემრე ჩაბუქის განაცხადი დაკმაყოფილდა და სტატუსი

მიენიჭა, მისი გადაცემა ვერ მოხდება, – განაცხადა ბარათაშვილმა.

როგორც ადვოკატმა განმარტა, დემირელის კოლეჯის ერთ-ერთი ხელმძღვანელი სტატუსის მინიჭების თაობაზე უკვე გამოიკითხა გუშინ, ლტოლვილთა სამინისტროს წარმომადგენლების მიერ. დღეს კი სამინისტროში მისი ოჯახი, მეუღლე და ორი შვილი გამოიკითხა.

თბილისის დემირელის კოლეჯის ერთ-ერთი მმართველი მუსტაფა ემრე ჩაბუქი ტეროორისტულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობის ბრალდებით დააკავეს. აღნიშნული ბრალი მას თურქეთში აქვს წაყენებული და ქართველმა სამართალდამცველებმა ჩაბუქი თურქული პოლიციის მოთხოვნის საფუძველზე დააკავეს. პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე მას თბილისის საქალაქო სასამართლომ სამთვიანი წინასაექსტრადიციო პატიმრობა შეუფარდა.

## გია ხალვაში: „კახა ბუხრაძეს შინაგან საქმეთა მინისტრი მფარველობს“

– ბუხრაძეს შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი მღებრიშვილთან ნათესაური კავშირი აქვს.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საპატრულო პოლიციის ყოფილმა თანამშრომელმა გია ხალვაშმა განუცხადა.

როგორც ხალვაში ამბობს, მისი სამსახურიდან გათავისუფლება კახა ბუხრაძეს უკავშირდება, რადგან სამსახურებრივი საქმიანობის გამო ხშირად უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. მისი თქმით, კახა ბუხრაძეს გიორგი მღებრიშვილი მფარველობს.

– კახა ბუხრაძეს შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი მფარველობს, რადგან დედის მხრიდან ნათესაური კავშირი აქვთ. ჩემს გათავისუფლებასთან დაკავშირებით საქმე სასამართლოში მაქვს შეტანილი და პროცესის დანიშვნას ველოდები. ჩემსა და კახა ბუხრაძეს შორის შიდა სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით დაპირისპირება მოხდა. ამბობდა, თითქოს სამსახურში ბუნტი ავუტეხე. მაღალ ჯარიმებს ვაპროტესტებდი. შესვენებაზე არ უნდა გავსულიყავით და შვებულებით არ უნდა გვესარგებლა. ვუთხარი, რომ არასწორად იქცეოდა. მან მეწყვილეც დამიპირისპირა და სასამართლოზე ჩვენება ჩემს წინააღმდეგ მისცა. თავიდანვე ვუთხარით, რომ ასეთი რეფორმების გატარება ამგვარ შედეგამდე მიიყვანდა. მინისტრისთვის თვითონ უთხოვია, აქ ხალხში ვერ გავდივარ და სადმე სხვა რეგიონში გადავალო. ეს მას უთქვამს მოადგილეებთან, – აცხადებს გია ხალვაში.

გია ხალვაში პატრულის ის თანამშრომელია, რომელსაც 11 მარტს ბათუმი პლაზას მიმდებარე ტერიტორიაზე საჯარიმო ოქმის შედგენისას მოქალაქე შეეწინააღმდეგა, საქალაქო სასამართლოში კი მოქალაქე გამართლდა, რადგან მეწყვილე პატრულის თანამშრომელმა ეკა ხუნწარიამ ჩვენება გია ხალვაშის წინააღმდეგ მისცა.

## სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ თაღლითობის მცდელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა დიდი ოდენობით თაღლითობის მცდელობის ფაქტზე საქართველოს მოქალაქე დავით ჯ. დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან აცნობეს, გამოძიებამ დაადგინა, რომ დავით ჯ. თავს თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის თანამშრომლად ასაღებდა და საქართველოს მოქალაქეს დაჰპირდა სოფელ კრწანისთან მდებარე 4000 კვ.მ მიწის ნაკვეთის დაკანონებაში დახმარებას, რის სანაცვლოდაც 20 000 აშშ დოლარის გადახდა მოსთხოვა. ამასთან განუმარტა, რომ მიწის დასაკანონებლად მას აღნიშნული თანხის ნაწილი უნდა გადაეცა სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავე კომპეტენტური თანამდებობის პირებისათვის.

– დავით ჯ-მ მოქალაქეს მოტყუებით, თაღლითურად გამოართვა მოთხოვნილი თანხის ნაწილი – 10.000 აშშ დოლარი, რა დროსაც იგი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ბრალდებულის სახით დააკავეს. გადაცემული თანხა ამოღებულია ნივთმტკიცებად. გამოძიება დიდი ოდენობით თაღლითობის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 19-180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით).

გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს, – აცხადებენ უწყებაში.

## მსჯავრდებულები საკნებში დანაშაულთა კატეგორიის მიხედვით გადანაწილდებიან

პენიტენციარული დაწესებულებების საკნებში ბრალდებულები/მსჯავრდებულები დანაშაულთა კატეგორიის მიხედვით გადანაწილდებიან.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრ კახა კახიშვილის ბრძანებით, ცვლილებები, რომელიც საკნებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დანაშაულთა კატეგორიის მიხედვით განთავსების საკითხს შეეხება, პენიტენციარულ დაწესებულებათა დებულებებში შევიდა.

სასჯელაღსრულების სამინისტროს ინფორმაციით, ცვლილებების საფუძველზე, პენიტენციურ დაწესებულებებში, როგორც წესი, საკნებში სხვა კატეგორიის დანაშაულში ბრალდებულებისგან/მსჯავრდებულებისგან განცალკევებით მოათავსებენ ისეთ პირებს, რომლებიც ბრალდებულნი/მსჯავრდებულნი არიან სამოხელეო, სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ, ფულადსაკრედიტო სისტემაში, საფინანსო საქმიანობის სფეროში, სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ დანაშაულებსა და კიბერდანაშაულის ჩადენისთვის.

აღნიშნული ცვლილება უკვე ძალაშია.

# როგორი მეთოდებით ებრძვის რუსეთი სახელმწიფოების შესვლას ნატოში

## კარნეგის ცენტრი: „სამხრეთ კავკასიის რეგიონი სულ უფრო რთული ხდება“

**მარიამ მჭედლიშვილი**

ექსპერტები ისევ სახიფათოდ მიიჩნევენ რუსეთის მხრიდან საქართველოში რბილი ძალის გამოყენებას. დოკუმენტურად დამტკიცდა, რომ რუსეთი საკუთარი გავლენის გაძლიერებისათვის ამ ძალის ინსტრუმენტებს სხვაგანაც იყენებს.

ბრიტანულმა „გარდიანმა“ მოიპოვა მაკედონიის დაზვერვის საიდუმლო დოკუმენტები. ისინი შეიცავს მონაცემებს იმაზე, რა ინსტრუმენტებს იყენებდა რუსეთი ბალკანეთის ამ სახელმწიფოში იმისათვის, რომ გაეღვივებინა ანტიდასავლური განწყობები.

მაკედონია, საქართველოს მსგავსად, ევროკავშირისა და ნატოს წევრობისაკენ ისწრაფვის. იგი ითვლება ნატოს ასპირანტ ქვეყნად.

მოძიებული დოკუმენტები ადასტურებს, რომ კრემლი ბოლო ათი წლის განმავლობაში აქტიურად მუშაობდა იმაზე, რომ დაებრკოლებინა ბალკანეთის ქვეყნების შესვლა ნატოში, ჩამოეცილებინა ეს ქვეყნები დასავლეთის ორბიტიდან და გაეძლიერებინა რუსეთის როლი.

რუსეთის ჯაშუშები და დიპლომატები წლების განმავლობაში ეწეოდნენ პროპაგანდას და აღვივებდნენ შუღლს მაკედონიაში. რუსეთს ეხმარებოდა სერბეთის დაზვერვაც. სერბეთის სპეცსამსახურები მხარს უჭერდნენ პრორუსულად განწყობილ ნაციონალისტებს მაკედონიაში.

ნატოში მაკედონიის შესვლის წინააღმდეგ გამოდიოდა საბერძნეთიც. საბერძნეთი აცხადებს, რომ მაკედონიას ეს სახელი არ უნდა ერქვას.

– რუსეთის სტრატეგია ბალკანეთში გულისხმობს რბილი ძალის ინსტრუმენტებისა და მეთოდების გამოყენებას. მისი მიზანია, დასავლეთის გავლენის შეფერხება, – ნათქვმია საიდუმლო ანგარიშში.

ირკვევა, რომ რუსეთი თავისი მიზნის მისაღწევად იყენებდა ასევე ენერგეტიკის სტრატეგიას. ამისათვის ეპატრონებოდა ენერგეტიკულ რესურსებს. კრემლი მაკედონიაში კულტურულ მუშაობასაც ეწეოდა და ცდილობდა პანსლავისტური იდეის პოპულარიზაციას.

ცნობილია, რომ რუსეთი აფერხებდა მონტენეგროს ნატოში შესვლასაც და გადატრიალებას აწყობდა ბალკანეთის ამ ქვეყანაში. შემაფერხებელი მიზეზების მიუხედავად, მონტენეგრო ნატოში მაინც გაწევრიანდა.

საიდუმლო დოკუმენტებით ცნობილი ხდება, რომ მაკედონიის ყოფილი ხელისუფლება კრემლთან იყო გარიგებული და ახორციელებდა საკუთარი მოქალაქეების უკანონო მოსმენებს.

რუსეთს არ შეუნელებია აქტიურობა და აგრესია საქართველოში, ასევე მთელ რეგიონში.

კარნეგის ცენტრის დასკვნით, სამხრეთ კავკასიის რეგიონი სულ უფრო რთული ხდება. აშშ-ის ინტერესი სამხრეთ კავკასიაში მნიშვნელოვანია, თუმცა, სასიცოცხლო არ არის.

საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში აშშ-სთვის აუცილებელია რეგიონული სტაბილურობის შენარჩუნება, გაყინული კონფლიქტების განახლების დაუშვებლობა, დემოკრატიული გარდაქმნები და ამ სახელმწიფოების საერთაშორისო ინტეგრაცია.

რეგიონზე აისახება ბოლოდროინდელი მოვლენები და პროცესები ახლო აღმოსავლეთში, ცვლილებები ენერგორესურსების ბაზრებზე, აშშ-ში ახალი ადმინისტრაციის მოსვლა, ევროკავშირის შიდა პრობლემები.

2008 წლის აგვისტოში მომხდარმა ხუთდღიანმა ომმა საქართველოში ფაქტობრივად გააჩერა დასავლეთის გაფართოების პროცესი რეგიონში.

დღეს სამხრეთ კავკასიაში დემოკრატიული განახლებისა და დასავლურ ინსტიტუტებში ინტეგრაციის პოლიტიკა ისევ დღის წესრიგშია, მაგრამ მოლოდინი სუსტდება. მით უმეტეს, რომ საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი სხვადასხვა გზით მიდიან.

არსებობს იმის საფრთხე, რომ განახლდეს საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთში, ცხინვალის რეგიონსა და მთიან ყარაბაღში.

# ლონდონის ტერაქტზე პასუხისმგებლობა ექსტრემისტულმა ორგანიზაცია „ერაყისა და ლევანტის ისლამურმა სახელმწიფომ“ აიღო

ლონდონის ტერაქტმა მთელი ინგლისი ფეხზე დააყენა. თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, ტერაქტზე პასუხისმგებლობა ექსტრემისტულმა ორგანიზაცია „ერაყისა და ლევანტის ისლამისტურმა სახელმწიფომ“ აიღო.

– როგორც ჩანს, ჩვენს ქვეყანაში ფართოდ განშტოებული ექსტრემისტული იატაკქვეშეთი არსებობს, – განაცხადა პრემიერმა ტერეზა მეიმ.

პრემიერმა ხაზი გაუსვა, რომ შექმნილ სიტუაციაში აუცილებელია, პოლიციამ ტაქტიკა შეცვალოს. დღემდე ბრიტანელი პოლიციელები, რომლებიც ქუჩებს პატრულირებდნენ, იარაღს არ ატარებდნენ.

ხულიგნებზე ჩვეულებრივ თავად პოლიციელის (ანუ როგორც ინგლისელები ალერსით უწოდებენ, ბობი) ავტორიტეტი მოქმედებდა. პოლიციელს მხოლოდ რეზინის ხელკეტი გააჩნდა. ეს ხულიგნის შესაჩერებლად საკმარისია, მაგრამ ტერორისტს ამით ვერ შეაკავებ.

– ალბათ უარიანია, თუკი ე.წ. ბულგარულ მეთოდს შევისწავლით და მას ბრიტანეთის სინამდვილეში დავნერგავთ, – განაცხადა მეიმ.

როგორც ცნობილია, 1923-25 წლებში ბულგარეთი ტერორისტების სამიზნე გახდა. მოსკოვიდან დაფინანსებულმა კომპარტიამ „საბრძოლო ჯგუფები“ შექმნა და ტერორის აზვირთება ცადა.

პიკი 1925 წლის გაზაფხული იყო, როცა კომუნისტებმა სოფიის ტაძარი ააფეთქეს. პასუხად პრემიერ ცანკოვის ბრძანებით პოლიციელებს იარაღი დაურიგეს. ტერორისტებს პირდაპირ ქუჩებში ხოცავდნენ. 1926 წლისათვის კომუნისტური ტერორი შეჩერდა.

– ჩვენთან იარაღის ტარების უფლება მხოლოდ პოლიციის სპეციალურ ნაწილებს აქვთ. ალბათ დროა, ის პოლიციელებიც შევაიარაღოთ, რომლებიც ქუჩების პატრულირებას ახორციელებენ, – თქვა მეიმ.

პრემიერ-მინისტრის გამოსვლას საზოგადოება არაერთგვაროვნად შეხვდა. მოსახლეობის უმრავლესობა გახარებულია. გადამდგარმა ბრიტანელმა პოლიციელმა ლონგმა განაცხადა, რომ თუკი ყველა პოლიციელს შეაიარაღებენ, ამით ტერორისტებს დამატებითი პრობლემები შეექმნებათ და ხალხიც თავს უფრო დაცულად იგრძნობს. ლორდთა პალატაში პრემიერ-მინისტრის წინადადებამ უარყოფითი რეაქცია გამოიწვია.

– იარაღის დარიგება ჰაიჰარად არ შეიძლება! ამას სათანადო მომზადება სჭირდება, – განაცხადა ლორდმა ჰარისმა.

ლორდის აზრით, შეიარაღებული პოლიციელი შესაძლოა არანაკლებ საშიში გახდეს, ვიდრე ტერორისტი. ჰარისი მიიჩნევს, რომ იარაღის დარიგებამდე აუცილებელია კონტროლის სათანადო მექანიზმების შექმნა, შემდეგ კი პოლიციელთა გაწვრთნა. ეს თანაბრად შეეხება როგორც საცეცხლე, ასევე ფსიქოლოგიურ მომზადებასაც.

– „ბულგარული მაგალითი“ არ გამოგვადგება! კი ბატონო, ბულგარეთმა რაღაც მომენტში ტერორის შეჩერება შეძლო, მაგრამ ამას უამრავი უდანაშაულო ადამიანი შეეწირა. მათ შორისაა ცნობილი პოეტი გეო მილევიც, რომელსაც ტერორისტებთან საერთო არაფერი ჰქონდა, – აცხადებს ჰარისი.

მიუხედავად ამისა, ბრიტანეთის საზოგადოება ხელისუფლებისაგან გადამჭრელ მოქმედებებს მოითხოვს. ტერეზა მეიმაც განაცხადა, რომ დასაწყისისთვის 600-მდე პოლიციელს განვრთნიან, შემდეგ კი იარაღს დაურიგებენ.

– დისკუსიები კარგია, მაგრამ ისიც ნათელია, რომ ტერორიზმთან შეგუება არ შეიძლება, – თქვა მეიმ.

თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, ტერაქტთან დაკავშირებით დაკავებული 12 ადამიანი გაათავისუფლეს. ხელისუფლებამ ორი დაღუპული ტერორისტის გვარი დაასახელა: ბატი და რადუენი. პირველი წარმოშობით პაკისტანელია, მეორეს ორმაგი მოქალაქეობა ჰქონდა (ლიბიისა და მაროკოსი), მესამე ტერორისტის ვინაობა ჯერჯერობით არ სახელდება.

# გერმანიამ შესაძლოა თურქეთიდან ჯარი გაიყვანოს

გერმანიის მთავრობა თურქეთიდან ჯარის გაყვანის შესაძლებლობას სწავლობს. ამის თაობაზე თავდაცვის მინისტრმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა განაცხადა.

– საბოლოო გადაწყვეტილებას მთავრობა 7 ივნისს მიიღებს, – თქვა მინისტრმა.

ურსულა ფონ დერ ლაიენი ამბობს, რომ ბუნდესვერის ნაწილები თურქეთიდან იორდანიაში გადავლენ.

– იორდანიის ბაზა თურქულს არაფრით ჩამოუვარდება, – თვლის გერმანიის თავდაცვის მინისტრი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# აშშ პარიზის შეთანხმებას ტრამპის გარეშეც დაიცავს

აშშ-ის კონგრესმენთა უმრავლესობა, ქალაქის მერები და შტატების გუბერნატორები პარიზის შეთანხმებიდან გასვლის (შეთანხმება კლიმატთან დაკავშირებით) წინააღმდეგნი არიან. შესაბამისად, ტრამპს ამ გადაწყვეტილების კონგრესში გატანა ძალიან გაუჭირდება.

– პრაქტიკულად ეს დიდ დროს, მინიმუმ ოთხ წელიწადს მოითხოვს, – იტყობინება ბი-ბი-სი.

ცალკეული შტატების ხელმძღვანელები, ქალაქის მერები აცხადებენ, რომ პარიზის შეთანხმებას საკუთარი ინიციატივით შეასრულებენ. ამრიგად, აშშ პარიზის შეთანხმებას ტრამპის ნებართვის გარეშეც შეასრულებს.

# ამერიკელმა ჟურნალისტმა პუტინი გააბრაზა

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ნბს-ს ინტერვიუ მისცა. კორესპონდენტის შეკითხვამ, არ ნანობთ, რომ აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნებში ჩაერიეთო, პუტინი წონასწორობიდან გამოიყვანა:

– იცით, რას გეტყვით?! ეს ამერიკა ერევა სხვა ქვეყნების არჩევნებში! – შეჰყვირა რუსეთის პრეზიდენტმა.

მუდამ მშვიდმა პუტინმა წონასწორობა დაკარგა. ამერიკელი ჟურნალისტი ქალის წინაშე ის მუშტებს იქნევდა და ღრიალებდა:

– ამერიკამ არია სირია, ლიბია, ტუნისი! ამერიკის ნახელავია სახელმწიფო გადატრიალება უკრაინაში და სამოქალაქო ომი! რა უფლებით გვასწავლით ჭკუას? ჩვენ ხომ ამას არ ვაკეთებთ! არ ვამბობთ, რომ ამერიკელებმა ინდიელები გაჟლიტეს, რომ ამერიკა სისხლსა და ცოდვაზეა შექმნილი!


# განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

● ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას; სასქესო ორგანოების, პროსტატის ყველა ფორმის დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას – მამაკაცებში. მკურნალობაში ვიყენებთ აპარატსა და სქესობრივი კონტაქტის დასამყარებელ „ერექტორებს“. კონსულტაცია უფასოა. ტელ: 2 99 95 33; 593 60 60 44.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით.აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი..

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ:558-34-36-24.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# საფეხბურთო ნაკრები სრულად შეიკრიბა

საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები დღეს ამხანაგურ მატჩს გამართავს სენტ კიტსისა და ნევისის ნაკრებთან, ხოლო 11 ივნისს უკვე მოლდოვაში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს ითამაშებს.

მოლდოველებთან მატჩის მზადების პროცესი უკვე სრული შემადგენლობით მიმდინარეობს. შაბათ-კვირას საკლუბო მატჩების გამო შეკრება მოგვიანებით შეუერთდნენ ვაკო ყაზაიშვილი, ვაკო გვილია, ლაშა შერგელაშვილი, ლაშა დვალი, ვლადიმერ დვალიშვილი და უჩა ლობჟანიძე. თუმცა, ყაზახეთის ატირაუს მცველმა უჩა ლობჟანიძემ ტრავმის გამო ვარჯიში გამოტოვა. ამავე მიზეზით გუნდს ვერ ეხმარება თბილისის დინამოს წევრი ოთარ კიტეიშვილი. შეძლებენ თუ არა ფეხბურთელები მომდევნო 2 შეხვედრაში მონაწილეობის მიღებას, მალე გახდება ცნობილი.

როგორც უკვე ვწერდით, მთავარი მწვრთნელის გადაწყვეტილებით, ეროვნულ გუნდს დღეს სკოპიეს ვარდარის ნახევარმცველი ჯაბა ჯიღაური შეუერთდა. ფეხბურთელმა ნაკრებთან სრული დატვირთვით ივარჯიშა.

**სადღეისოდ საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ასეთია:**

**მეკარეები**: გიორგი მაკარიძე (მორეირენსე, პორტუგალია), როინ კვასხვაძე (ტორპედო), ომარ მიგინეიშვილი (სამტრედია);

**მცველები**: ოთარ კაკაბაძე (ესბიერგი, დანია), უჩა ლობჟანიძე (ატირაუ, ყაზახეთი), გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), სოლომონ კვერკველია (ლოკომოტივი, რუსეთი), ჯემალ ტაბიძე (ურალი, რუსეთი), გიორგი ნავალოვსკი (ნეფთჩი, აზერბაიჯანი), ლაშა შერგელაშვილი (რიგასი, ლატვია), ლაშა დვალი (ირტიში, ყაზახეთი);

**ნახევარმცველები**: ჯაბა კანკავა (რეიმსი, საფრანგეთი), ნიკა კვეკვესკირი (ტობოლი, ყაზახეთი), მურთაზ დაუშვილი (დიოშგიორი, უნგრეთი), ოთარ კიტეიშვილი (დინამო თბ), ვაკო გვილია (ბატუ, ბელარუსი), ჯანო ანანიძე (სპარტაკი, რუსეთი), ვაკო ყაზაიშვილი (ლეგია, პოლონეთი), გიორგი მერებაშვილი (პლოცკი, პოლონეთი), ჯაბა ჯიღაური (ვარდარი, მაკედონია);

**თავდამსხმელები**: ლადო დვალიშვილი (ატირაუ, ყაზახეთი), ნიკა კაჭარავა (ეთნიკოსი, კვიპროსი), ბაჩანა არაბული (დინამო თბ), ელგუჯა ლობჯანიძე (ორენბურგი, რუსეთი), გიორგი არაბიძე (შახტარი, უკრაინა)

ამხანაგური მატჩი საქართველოსა და სენტ კიტსისა და ნევისის ნაკრებებს შორის 7 ივნისს, 20:00 საათზე, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება. დასწრება თავისუფალია.

მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩი მოლდოვასა და საქართველოს შორის 11 ივნისს კიშინიოვში შედგება. მატჩი თბილისის დროით 20:00 საათზე დაიწყება.

# ილიას ზუროსმა გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა

საქართველოს საკალათბურთო ნაკრების ცხელი ზაფხული იწყება. ეროვნული გუნდი ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისთვის მზადებას ივლისში დაიწყებს. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ილიას ზუროსმა ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა გამოაქვეყნა.

ბერძენმა სპეციალისტმა გამოცდილ მოთამაშეებთან ერთად შეკრებაზე ახალგაზრდებსაც უხმო. გაფართოებულ შემადგენლობაში ძირითადი ბირთვი ნაკრების გამოცდილი და უცვლელი წევრები არიან, ხოლო დანარჩენებს სხვადასხვა დროს უთამაშიათ ეროვნულ გუნდში, ანაც კანდიდატთა შორის ყოფილან. გაფართოებული სიის ერთადერთი მოთამაშე, რომელიც არასდროს ყოფილა ეროვნულ ნაკრებში გამოძახებული, 17 წლის გოგა ბითაძეა.

ბითაძე სერბულ მეგა ბიმაქსში თამაშობს, 211 სანტიმეტრი სიმაღლისაა და წლევანდელი ახალგაზრდული ევროლიგის ფინალში ითამაშა და შედეგიანობით ფინალური ტურნირზე საუკეთესო იყო. თუმცა, ბითაძე 14-24 ივლისს საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში დაეხმარება, რისი დასრულების შემდეგაც ახალგაზრდა ცენტრი ეროვნულ გუნდს სლოვენიაში შეუერთდება.

**საქართველოს ნაკრების გაფართოებული სია ასეთია:**

**უკანა ხაზი**: გიორგი ცინცაძე (ქუთაისი), მანუჩარ მარკოიშვილი (დარუშაფაკა, თურქეთი), დუდა სანაძე (პრიმორსკა, სლოვენია), მაიკლ დიქსონი (აეკი, საბერძნეთი), ოთარ ფხაკაძე (მგზავრები);

**ფორვარდები**: ლევან ფაცაცია, მიხეილ ბერიშვილი (ორივე დინამო), ანატოლი ბოისა, ბექა ბექაური (ორივე ქუთაისი), კახა ჯინჭარაძე (ბათუმი), თორნიკე შენგელია (ბასკონია, ესპანეთი), ბექა ბურჯანაძე (ანდორა, ესპანეთი), ვიქტორ სანიკიძე (არისი, საბერძნეთი);

**ცენტრები**: ზაზა ფაჩულია (გოლდენ სტეიტი, ნბა), გიორგი შერმადინი (ანდორა, ესპანეთი), გოგა ბითაძე (მეგა ბიმაქსი, სერბეთი), გიორგი შარაბიძე (ფენი ინდუსტრია, მაკედონია);

მართალია, ეროვნული გუნდის კანდიდატთა სიაში 17 კალათბურთელია შესული, თუმცა, შესაძლებელია, ეს რიცხვი გაიზარდოს. მოგეხსენებათ, რამდენიმე დღეში ჩვენი ბ ნაკრები იკრიბება, რომლის რამდენიმე წევრიც ეროვნულ გუნდში მოიაზრება.

ბ ნაკრები 26 ივნისიდან 15 ივლისამდე ჩინეთში, საერთაშორისო ტურნირებში მიიღებს მონაწილეობას და სწორედ ამის შემდეგ გადაწყდება მის წევრთა ეროვნულ გუნდთან შეერთების საკითხი.

ბ ნაკრები 12 ივნისს შეიკრიბება. შარშანდელის მსგავსად, მასში ის კალათბურთელები შევლენ, რომლებსაც რიგიანი სეზონი ჰქონდათ და პერსპექტივა გააჩნიათ.

ნაკრებს კვლავ დავით უსტიაშვილი გაწვრთნის, რომელსაც ახალი ასისტენტი ჰყავს რამაზ გოგობერიშვილის სახით. ნაკრები შეკრებას თბილისში 12 ივნისს დაიწყებს და 26-ში ჩინეთში, საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრება. ჩვენი გუნდი ჩინეთში 20 დღეს დაჰყოფს და საქართველოში 15 ივლისს დაბრუნდება.

ბ ნაკრების რამდენიმე წევრი ეროვნული გუნდის კანდიდატად მოაზრება და მათი ძირითად ნაკრებთან შეერთების საკითხი ჩინური შეკრების დასრულების შემდეგ გადაწყდება.

**წარმოგიდგენთ ბ ნაკრების 12-კაციან შემადგენლობას:**

სერგო ათუაშვილი (რუსთავი), ოთო ბულიავა, ლუკა ზაქრაძე (ორივე სოხუმი), გიორგი ბაქრაძე, რევაზ როგავა, კახაბერ ტომარაძე (ყველა ოლიმპი), აკაკი დვალიშვილი (ნოვოსიბირსკი), ილია ლონდარიძე, მიხეილ ჭოჭუა, ნოდარ გოგოძე (ყველა დინამო), აკაკი ლომოური (ქუთაისი), გიორგი გამყრელიძე (ტიტები), ავთანდილ ლომინაშვილი (მგზავრები), ბესიკ ლეჟავა (ბათუმი).

# ფეხბურთის განვითარების პროგრამა 1 წლითა და 100 მილიონით გაიზარდა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი და გენერალური მდივანი დავით მუჯირი საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ ტარიელ ხეჩიკაშვილთან და ფეხბურთის განვითარების ფონდის ხელმძღვანელ ზაზა დოლიძესთან ერთად ეროვნული ლიგისა და ეროვნული ლიგა 2-ის საფეხბურთო კლუბების წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეხვედრის მთავარი თემა საქართველოში ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსება და 1 ივნისს გამართულ მთავრობის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებები იყო.

საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად, ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამაში ცვლილებები შევიდა და 2016-21 წლებში პროგრამის ფარგლებში უკვე შესრულებული და სამომავლოდ განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსებისთვის საჭირო თანხა ჯამში 211.126.949 ლარის ოდენობით განისაზღვრა, რაც მიმდინარე და მომავალ წლებში ქართული ფეხბურთის ყოველწლიურად 37 მილიონი ლარით დაფინანსებას გულისხმობს.

ასევე გადაწყდა, რომ დამატებით გამოიყოფა დაახლოებით 100 მილიონი ლარი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის.

დასასრულს მედიის წარმომადგენელთათვის პრესკონფერენცია გაიმართა, სადაც სფფ-ის ხელმძღვანელებმა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა აღნიშნული შეხვედრა შეაჯამეს და სპორტული ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხეს.

ლევან კობიაშვილმა მადლობა გადაუხადა მთავრობას ნდობისა და მხარდაჭერისთვის და ფეხბურთის განვითარების პროგრამის მნიშვნელობაზე ისაუბრა:

– ჩვენ შევხვდით ეროვნული ლიგისა და ეროვნული ლიგა 2-ის გუნდების წარმომადგენლებს. მათ მივაწოდეთ სრული ინფორმაცია რამდენიმე დღის წინ გამართული მთავრობის სხდომის შესახებ, სადაც დამტკიცდა საქართველოში ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები და შეიძლება ითქვას, რომ პროგრამა საბოლოო ფორმით ჩამოყალიბდა. საუბარი გვქონდა იმის შესახებ, თუ როგორ გადანაწილდება სახელმწიფოსგან ფეხბურთის განვითარებისთვის გამოყოფილი ფინანსები. ჯამში საკმაოდ საინტერესო შეხვედრა გამოდგა, გავეცით იმ კითხვებზე პასუხები, რაც კლუბების წარმომადგენლებს ჰქონდათ ამ ცვლილებების მიმართ. ვთვლი, რომ ძალზედ მნიშვნელოვანია ის პროექტები, რაც ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ხორციელდება. მადლობას ვუხდი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრსა და მთლიანად მთავრობის სრულ შემადგენლობას ასეთი მაღალი ნდობისა და მხარდაჭერისთვის. სახელმწიფო ბოლო პერიოდში ქართული ფეხბურთის მიმართ მართლაც დიდ ინტერესს იჩენს, რაც უკვე კონკრეტული ნაბიჯებით გამოხატება, ეს კი ის გზაა, რომელმაც ქართული ფეხბურთი სამომავლო წარმატებებისკენ უნდა მიიყვანოს. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული პროგრამა ნამდვილად სამაგალითოა, არა მხოლოდ ქართული ფეხბურთის, არამედ ზოგადად ქართული სპორტისთვის.

**ტარიელ ხეჩიკაშვილი:**

– საქართველოს მთავრობის დადგენილებით მართლაც რომ უპრეცედენტო გადაწყვეტილებები იქნა მიღებული ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ. მსურს ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო პირადად საქართველოს პრემიერ-მინისტრს და მთავრობის სრულ შემადგენლობას, ჩემს კოლეგებს ამ მხარდაჭერისთვის და ასეთი მაღალი ნდობისთვის. ფეხბურთის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამას კიდევ 1 წელი დაემატა და 6-წლიანი გახდა, ხოლო ჯამში 2016-21 წლებში აღნიშნული პროგრამა 211. 126. 949 ლარით განისაზღვრა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ დამატებით გამოიყოფა თანხები ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის, სავარაუდოდ, შემიძლია გავაჟღერო, რომ მომდევნო 5 წლის განმავლობაში დაახლოებით 100 მილიონი ინფრასტრუქტურის განვითარებას მოხმარდება, შეგვიძლია დავასახელოთ კონკრეტული მაგალითები ბათუმში, ზუგდიდში, გორში და ასევე სხვა რეგიონებში სტადიონების მშენებლობის მიმართულებით. ჯამურად, 300 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება ქართული ფეხბურთისთვის, რაც რა თქმა უნდა გაცილებით მეტია აქამდე გაცხადებულ 265 მილიონთან შედარებით. ასევე სიახლე ისაა, რომ პრიორიტეტები და ფუნქციები გადანაწილდება და ჯამში მეტად სოლიდური თანხები დაიხარჯება.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ამ პროექტის თანახმად, პირველად გამოიყოფა მეტად სოლიდური თანხები ბავშვთა ფეხბურთისთვის და განხორციელდება მასობრივი სახის საფეხბურთო ღონისძიებები და განათლების ხელშემწყობი პროგრამები, რაც 2017 წელს 2 მილიონი ლარით, 2018 წლიდან 2,5 მილიონით, ხოლო მომავალ წლებში 3 მილიონი ლარით განისაზღვრება... აღსანიშნავია ისიც, რომ უეფამ აღნიშნული პროექტი და ურთიერთობის ეს ფორმატი სახელმწიფოსა და ფედერაციას შორის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ პროექტად აღიარა. ზოგადად, ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის განახლებული ვერსიის ძირითადი პუნქტებია – კლუბების საბაზისო დაფინანსება, კლუბების ფინანსური სტიმულირება, კლუბების საპრიზო და პრემიული ფონდი და მასობრივი სახის საფეხბურთო ღონისძიებები და საფეხბურთო განათლების ხელშემწყობი პროგრამები.

ერთ-ერთი მთავარი მიზანი ისაა, რომ დაფინანსების მიმართულებით კლუბებს მეტი მოტივაცია მივცეთ და საბაზისო დაფინანსებიდან მოკლებული თანხები ფინანსური სტიმულირებისკენ მივმართოთ. ანუ, კლუბების დაფინანსების ჯამი არ შეიცვლება, უბრალოდ ვფიქრობთ, რომ ამ ნაბიჯით კლუბებს უფრო ეფექტურად მუშაობის სტიმულს მივცემთ, როგორც სატრანსფერო პოლიტიკის სწორად წარმოების, ასევე სპონსორებთან ურთიერთობის კუთხით.

ასევე, ჩვენი მთავარი ამოცანაა ის, რომ კლუბებში სწორი მენეჯმენტის ჩამოყალიბებას შევუწყოთ ხელი და დაფინანსებაც ამ კუთხით განვახორციელოთ, სწორედ ამიტომ ვუჭერთ მხარს კლუბების ფინანსური სტიმულირების მზარდ მოდელს შემდგომი 5 წლის მანძილზე. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მომდევნო წლებში კლუბების საპრიზო და პრემიული თანხა არ შეიცვლება, რაც ასევე დამატებით მოტივაციას აძლევს კლუბებს.

# შენგელია ესპანეთში საჩემპიონო რბოლას გამოეთიშა

თორნიკე შენგელიას ბასკონიამ ნახევარფინალური სერია ვალენსიასთან 1:3 დათმო და ჩვენებურმაც სეზონი დაასრულა.

სერიის მე-4 შეხვედრა, რომელსაც ვალენსიელებმა უმასპინძლეს, შენგელიას გუნდმა 77:85 წააგო. ქართველი კალათბურთელი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და მოედანზე ერთერთი საუკეთესო იყო. თოკომ 9-დან 3 ორქულიანი, სამქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო და 27 წუთში 12 ქულა, 8 მოხსნა (4 შეტევაში) და 1 პასი მოაგროვა.

აღსანიშნავია, რომ შენგელიას ბურთი არ დაუკარგავს, ერთხელ დაუფარეს, მხოლოდ ერთხელ დაჯარიმდა, მის წინააღმდეგ კი თამაშის წესები 5-ჯერ დაირღვა. ამასთან, ქართველი ლეგიონერის მოედანზე ყოფნის პერიოდში ბასკონიამ ვალენსიაზე 3 ქულით მეტი ჩააგდო. თორნიკეს სარგებლიანობის კოეფიციენტი 17-ს გაუტოლდა და ის სტუმართა რიგებში მხოლოდ ამერიკელ რიკი ლედოს (21) ჩამორჩა, რომელმაც 17 ქულა, 4 მოხსნა, 5 პასი და 2 ჩაჭრა მიითვალა.

ესპანეთის ჩემპიონატის ფინალურ სერიაში ვალენსიის მეტოქე მადრიდის რეალი იქნება, რომელმაც ნახევარფინალური სერია მალაგის უნიკახას 3:0 მოუგო.

# შედეგები

**5 ივნისი**

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| დრ.კონგო-ბოტსვანა | 2:0 |
| მაკედონია-თურქეთი | 0:0 |
| უნგრეთი-რუსეთი | 0:3 |
| ბელგია-ჩეხეთი | 2:1 |
| ეგვიპტე-ლიბია | 1:0 |

**ამხანაგური მატჩები (21)**

| | |
|---|---|
| აზერბაიჯანი-ჩეხეთი | 0:5 |
| ისრაელი-სერბეთი | 0:0 |
| ალბანეთი-საფრანგეთი | 0:3 |

**ჩოგბურთი**

**ხოღან გაჰოსი**

**ჯაცები**

| | |
|---|---|
| მარეი-ხხაჩანოვი | 6:3,6:4,6:4 |
| ვერდასკო-ნიშიკორი | 6:0,4:6,4:6,0:6 |
| ვავრინკა-მონფილსი | 7:5,7:6,6:2 |
| ანდერსონი-ჩილიჩი | 3:6,0:6,0:6 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| სუარეს ნავარო-ჰალეპი | 1:6,1:6 |
| სვიტოლინა-მატრიჩი | 4:6,6:3,7:5 |
| სეპედე-პლიშკოვა | 6:2,3:6,4:6 |
| გარსია-კორნე | 6:2,6:4 |

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

# რა არის ჰემანგიომა

ეკა ირემაშვილი

ჰემანგიომა ახალშობილებში ყველაზე გავრცელებული, თანდაყოლილი, სისხლძარღვის ენდოთელიუმის წარმოშობის, მოწითალო-მოლურჯო ფერის კეთილთვისებიანი სიმსივნეა, რომელიც ხშირად უკუგანვითარებას თავისთავად მკურნალობის გარეშეც განიცდის და არ ახასიათებს რეციდივი. რა არის ჰემანგიომა და როგორი ტიპის ჰემანგიომები არსებობს, ამ თემებზე იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ონკო-ჰემატოლოგიური მიმართულების ხელმძღვანელი, მედიცინის დოქტორი ნინო ტოტოღაშვილი საუბრობს.

**ნინო ტოტოღაშვილი:**

– ჰემანგიომა ახალშობილებში ყველაზე გავრცელებული, თანდაყოლილი, სისხლძარღვის ენდოთელიუმის წარმოშობის, მოწითალო-მოლურჯო ფერის კეთილთვისებიანი სიმსივნეა, რომელიც ხშირად უკუგანვითარებას თავისთავად მკურნალობის გარეშეც განიცდის და არ ახასიათებს რეციდივი.

სისხლძარღვი ენდოთელიარული უჯრედების მილებია, რომლებიც შემოსაზღვრულია გულკუთოვანი უჯრედებით და შემაერთებელქსოვილოვანი პროტეინებით. მათ სწორ ურთიერთქმედებას და ანატომიურ ფიზიოლოგიურ ნორმას განსაზღვრავს მათ შორის არსებული ბიოქიმიური სიგნალები. ზოგჯერ ეს ურთიერთობა ირღვევა გაურკვეველი მიზეზის გამო და წარმოქმნის პათოლოგიურ სისხლძარღვებს, ანუ ჰემანგიომის სისხლძარღვებს.

***– როგორი ტიპის ჰემანგიომები არსებობს?***

– ჰემანგიომები თავისი ტიპის მიხედვით არის სამი ტიპის – კაპილარული ჰემანგიომა – ზედაპირული, წითელი შეფერილობის ერთი ან რამდენიმე წარმონაქმნი, რომელიც შედგება წვრილი კაპილარების პაკეტისგან და 95 პროცენტში განიცდის უკუგანვითარებას 10 წლამდე. მეორე ტიპი არის კავერნოზული ჰემანგიომა – მოწითალო-მოლურჯო ფერისაა და იზრდება სწრაფად პირველი 6 თვის განმავლობაში. შედგება უფრო დიდი და მწიფე ვასკულარული ელემენტებისგან და ზოგჯერ თვითონვე ქრებიან მკურნალობის გარეშე. მესამე ტიპი არის შერეული ჰემანგიომა – შეიცავს როგორც ზედაპირულ, ისე ღრმა ნაწილებს, ხშირად არიან დიდი ზომის და ატარებენ ზედაპირული და ღრმა ჰემანგიომების თვისებების ერთობლიობას.

***– რას უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ ჰემანგიომის არსებობა არ გამოგვეპაროს?***

– ჰემანგიომის დიაგნოსტირებისას უნდა გვახსოვდეს ორი ძირითადი ცნება, რომ ყველს ჰემანგიომა არ არის მოწითალო მარწყვისებური შეფერილობის და ყველა მოწითალო წარმონაქმნი კანზე ჰემანგიომა არ არის. კისრის და იღლიის ლოკალიზაციებში ჰემანგიომა შეიძლება აგვერიოს ლიმფურ წარმონაქმნში, მოწითალო ფერის წარმონაქმნი კანზე კი შესაძლოა იყოს სხვა სისხლძარღვოვანი სიმსივნეების დროსაც, მაგალითად, როგორიცაა ფიბრო სარკომა, ამიტომ დაავადების ზუსტი დიაგნოსტირება აუცილებლად მიანდოთ ექიმ ონკოლოგს.

ჰემანგიომის დიაგნოსტირებისას აუცილებელია ზომების დინამიკაში მუდმივი კონტროლი, ვისცერალური ჰემანგიომის შემთხვევაში და მათ გამოსარიცხად შესაძლოა დაგვჭირდეს ულტრაბგერითი გამოკვლევა, კომპიუტერული და მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია.

***– როდის უნდა ვუმკურნალოთ ჰემანგიომას?***

– ჰემანგიომა არ არის ავთვისებიანი სიმსივნე ანუ სიცოცხლისთვის საშიში სიმსივნე, ის არის მხოლოდ კეთილთვისებიანი სიმსივნე, ამიტომ ასეთ შემთხვევებში მკურნალობის მთავარი მიზანი ის არის, რომ არ მოხდეს სიცოცხლისთვის საშიში გართულებები, კანის ნაწიბუროვანი ცვლილებების პრევენცია და მინიმალიზაცია, რათა არ განვითარდეს შემდგომ ზრდასრულ ასაკში ესთეტიური პრობლემები. ძალიან მნიშვნელოვანია პაციენტისა და მშობლის ფსიქოლოგიური სტრესის მინიმალიზაცია, რადგან ჰემანგიომის პირველივე გამოჩენისას მშობელს ეწყება ძალიან დიდი შიში და ფსიქოლოგიური სტრესი. ჰემანგიომის დაწყლულების შემთხვევაში ადეკვატური მკურნალობა სისხლდენების, ინფექციების, ტკივილისა და კანის დეფექტების შესამცირებლად არის მკურნალობის მთავარი მიზანი.

რაც შეეხება მკურნალობას, ძალიან რთულია ის, რომ ზუსტად მივიდეს მშობლამდე და ხშირად ზოგიერთ სპეციალისტებამდეც კი, რომ მოხდეს სტანდარტიზაცია თემის, ვუმკურნალოთ თუ არა ჰემანგიომას. ამ ეტაპზე მოთმინება მართებს როგორც ექიმს, ასევე მშობელს, ჩვენ უნდა მივიღოთ სტანდარტები, რომლის დროსაც დავიწყებთ ჰემანგიომის მკურნალობას. მკურნალობა უნდა დავიწყოთ მაშინ, როცა კანის ფორმის ჰემანგიომა სწრაფად მზარდია და აღწევს გიგანტურ ზომებს, როცა ჰემანგიომა ლოკალიზებულია პერიორბიტალური სასუნთქი სისტემის, ღვიძლის და საჭმლის მომნელებელი ტრაქტის მიდამოში, მაშინ, როცა ჰემანგიომა დიდი ზომისაა, სეგმენტურია და მოთავსებულია ისეთ უბნებში, რომელიც ხშირად ღიზიანდება და მიდრეკილია სისხლდენებისა და დაწყლულებისაკენ, როდესაც დიდი ზომის სეგმენტური ჰემანგიომა ვლინდება სახეზე, შესაძლოა გამოიწვიოს ტუჩების, ყურების, ცხვირის დეფორმაცია.

ჰემანგიომის მკურნალობის რამოდენიმე სახე არსებობს: პირველი, ეს არის მედიკამენტოზური მკურნალობა, მკურნალობის მეორე სახეა ლოკალური მკურნალობა, ანუ ლაზერო თერაპია. მისი გამოყენება შეზღუდულია და გამოიყენება ისეთ მიდამოებში, როგორიცაა თითები, თვალები, ცხვირი, სახის სხვა ნაწილები. ლაზერო თერაპია ამცირებს დაწყლულებული ჰემანგიომის მტკივნეულობას, აჩქარებს შეხორცების პროცესს. ლაზერო თერაპიის უკუჩვენებას წარმოადგენს ღრმა ჰემანგიომა, რადგან ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია დაწყლულების პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდეს. მკურნალობის მეთოდია ქირურგიული ოპერაციაც, რაც ნიშნავს ჰემანგიომის ქირურგიული გზით მოცილებას, მაგრამ ძირითადად კანის ლოკალიზაციების ჰემანგიომის სამკურნალოდ ქირურგიული ოპერაციები აღარ გამოიყენება, რადგან დიდია სისხლდენებისა და დანაწიბურების რისკი. ქირურგიული ჩარევა შეიძლება მოხდეს შინაგან ორგანოებში, ღვიძლში, ელენთაში, შუა საყარში, თავის ტვინში, დიდი ზომის ჰემანგიომების არსებობის შემთხვევაში, როდესაც ისინი იწვევენ სიცოცხლისათვის საშიშ გართულებებს.

***– რა გართულებები შეიძლება მოყვეს ჰემანგიომას?***

– ჰემანგიომის ყველაზე ხშირი გართულებებია სისხლდენები, დაწყლულება, მეორადი ბაქტერიული ინფიცირება და ნეკროზი.

***– ყველაზე მეტად რა აინტერესებთ მშობლებს ჰემანგიომასთან დაკავშირებით?***

– ხშირად მოგვმართავენ მშობლები და გვეკითხებიან, შეიძლება თუ არა, პაციენტს, რომელსაც აქვს ჰემანგიომა, ჩაუტარდეს გეგმური აცრა. მათ ოჯახის ექიმები აწვდიან ინფორმაციას, რომ თუ ბავშვის აცრა მოხდება, ადგილი ექნება ჰემანგიომის პროგრესირებას, გაზრდას, რაც არ შეესაბამება სიმართლეს. ბავშვმა უნდა ჩაიტაროს ყველა გეგმური აცრა, რაც ეკუთვნის აცრების კალენდრის მიხედვით.

***– რას ურჩევდით მშობლებს?***

– ჰემანგიომის აღმოჩენის შემთხვევაში აუცილებლად გაიარეთ ონკოლოგის კონსულტაცია, რათა ერთად დაგეგმოთ მოქმედების შემდგომი ტაქტიკა, ამ გზით თავიდან აიცილებთ არასაჭირო სამედიცინო ჩარევას, ან პირიქით, გამორიცხავთ ერთი შეხედვით მარტივ, მაგრამ სერიოზულ გართულებებს.

# ტრამპის ხელის ჩამორთმევამ ვიეტნამის პრემიერს ხელზე თეთრი კვალი დაუტოვა

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ისე ძლიერად ჩამოართვა ხელი ვიეტნამის პრემიერს, რომ მას ხელზე თეთრი ნაკვალევი დაემჩნა. ამ ფაქტს ყურადღება მიაპყრო ერთ-ერთმა გამოცემამ. ნგუენ სუან ფუკი თეთრი სახლის პატრონს ვაშინგტონში შეხვდა.

– ისინი, ვინც ოთახში იმყოფებოდნენ, შენიშნავდნენ ნაკვალევს პრემიერის ხელზე, ასე რომ, ბატონმა ტრამპმა დაადასტურა საკუთარი რეპუტაცია, როგორც უწვეულო ხელის ჩამორთმევის პატრონმა, – აღნიშნავს გამოცემა.

ასევე აღნიშნულია, რომ რომ ნგუენ სუან ფუკი სამხრეთ-აღმოსავლეთ ქვეყნების ლიდერთა შორის პირველია, რომელიც ამერიკის ამჟამინდელი პრეზიდენტის რეზიდენციას სტუმრობდა.

აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის მძლავრი ხელის ჩამორთმევა, რომელსაც სამხედრო აკადემია აქვს დამთავრებული, საკუთარ თავზე სხვა ქვეყნების ლიდერებმაც გამოსცადეს, მათ შორის კანადის პრემიერ-მინისტრმა ჯასტინ ტრიუდომ და იაპონიის პრემიერმა სინდზო აბემ. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი მეტად ბედნიერი ჩანდა, როდესაც ტრამპმა მის ხელს ხელი გაუშვა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ასტროპროგნოზი
## 7 ივნისისთვის

**ვერძი** – ვარსკვლავების კეთილგანწყობა გიბრუნდებათ. მძიმე პერიოდი დამთავრდა. გელით საინტერესო ახალი ნაცნობობა. **კურო** – მიუხედავად დაძაბულობისა, სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. გაუფრთხილდით ურთიერთობას კოლეგებთან. **ტყუპები** – სწორი კვება და ფიზიკური დატვირთვა ჯანმრთელობის მდგომარეობას გაგიუმჯობესებთ. შემოქმედებითი აღმავლობის დღეა. **კირჩხიბი** – ნებისმიერი უსიამოვნება ემოციის გარეშე მიიღეთ. საკმაოდ მშვიდი დღეა. **ლომი** – ნერვულ გადაღლილობას სუფთა ჰაერზე სეირნობა და მეგობრებთან ურთიერთობა მოგიხსნით. ნოსტალგია შემოგიტევთ. **ქალწული** – როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში საინტერესო მოვლენებს ელოდეთ. ახალი საქმე შეგიძლიათ თამამად დაიწყოთ. **სასწორი** – ეცადეთ, თქვენი გეგმები ახალგაცნობილ ადამიანებს გაანდოთ. სასარგებლო რჩევებს მიიღებთ. **ღრიანკალი** – განმარტოება, მშვიდ გარემოში ფიქრი სასიკეთოდ წაგადგებათ. საღამო განსაკუთრებით კეთილისმყოფელი იქნება. **მშვილდოსანი** – პარტნიორთან ჰარმონიული ურთიერთობა თქვენს თავშეკავებასა და გონიერებაზეა დამოკიდებული. პროვოკაციებს არ წამოეგოთ. **თხის რქა** – წარმატებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევთ, თუ რეალობას ადეკვატურად შეაფასებთ. სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. **მერწყული** – სულიერ კმაყოფილებას გრძნობთ. მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გიუმჯობესდებათ. **თევზები** – მრავალ თქვენგანს დიდი ხნის ოცნება უსრულდება. შესაფერისი დღეა სამოგზაუროდ წასასვლელად.

**გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!**

# ჯოსვოიდი ბ



**შვეულად**: 1. მესხების, გურულების და აჭარლების ძველებური ჩოხა; 2. მდინარე პრაღაში; 3. კიდულ რელსებზე მოძრავი, ტვირთის ასაწევი მექანიზმი; 4. საკუთარი საქციელის ზნეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა; 5. ლირიკული სიმღერა; 7. კაპიტნის თანაშემწე, უმცროსი მეთაური გემზე; 11. კასპიის ზღვის აუზის მდინარე საქართველოში; 12. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 13. ავსტრალიური სირაქლემა; 14. ფრანგული ბულდოგი; 15. ხევისბერი ფშავ-ხევსურეთში; 17. ყველაზე მაღალი ჩანჩქერი მსოფლიოში; 19. საცხენოსნო შეჯიბრება.

**თარაზულად**: 5. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 6. ფიჭიანი თაფლი; 8. მამალი თხა; 9. სტანდარტული ფორმის კითხვარი ცოდნის შესამოწმებლად; 10. შტატი აშშ-ში; 11. ყაჩაღის ძველი ქართული სახელწოდება; 13. ბუნებრივი ნაკრძალი აჭარაში; 14. ესპანური სპორტული გაზეთი; 16. მარდი, მამაცის ძველებური სახელწოდება საქართველოში; 18. აეროპორტი პეკინში; 20. მარგალიტის ყელსაბამი; 21. სამწახნაგოვანი პირის მქონე იტალიური ხანჯალი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბაკი; 2. ჯეზვე; 3. იმაგო; 4. ლარნი; 5. გილდია; 6. დინამიკა; 8. ფიორენტინა; 10. ფიზიონომია; 11. ნატახტარი; 14. ბუნაგი; 15. ოკრიბა; 16. ბროლა.

**თარაზულად:** 1. ბორჯომი; 4. ლოგოპედი; 7. კიაზო; 9. ტორფი; 12. მანათი; 13. ტონგა; 14. ბაჩანა; 17. სტრიტი; 18. ჰემოგლობინი; 19. დარნიცა; 20. საფარა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პილონი; 2. არაქსი; 3. მაშტოცი; 4. ბორჩალო; 5. ინიესტა; 7. ბოჭორმა; 11. საუნა; 12. წაბლი; 13. მორავია; 14. პლატონი; 15. კახასა; 17. ბუფონი; 19. ხევი.

**თარაზულად:** 5. იომიური; 6. დიზაჟიო; 8. სოჭი; 9. გორდა; 10. სტრიტი; 11. საბა; 13. მაჭახელა; 14. პრუსი; 16. აბული; 18. ოჯარა; 20. ნირვანა; 21. სვანეთი.

# შოთა რუსთაველის პოემის უნიკალური გამოცემები საჯაროა

შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილესთან დაკავშირებით ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში სპეციალური გამოფენა გაიხსნა.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილია გურამ ახალაიას კერძო კოლექციაში დაცული უნიკალური გამოცემები, თითქმის სრული კოლექცია ქართულ და უცხოურ ენებზე. კოლექციონერმა 50 წლის წინ დაიწყო „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემების შეგროვება თავდაპირველად ქართულ და რუსულ, შემდეგ კი სხვა ენებზეც. დღეისთვის გურამ ახალაია „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემების უნიკალური კოლექციის მფლობელია. მის პირად ბიბლიოთეკაში დაცულია 450-ზე მეტი სხვადასხვა გამოცემა, მათ შორის ქართული გამოცემები 1712 წლიდან დღემდე და პოემის თარგმანები 51 ენაზე.

კოლექციის ყველაზე მნიშვნელოვანი ეგზემპლარია 1712 წლის ვახტანგისეული გამოცემა. კოლექციაში დაცულია 70-ზე მეტი გამოცემა სხვადასხვა ქვეყნის პრეზიდენტების მთარგმნელებისა და ცნობილი ადამიანების, მათ შორის გაეროს გენერალური მდივნის პან გი მუნის, იუნესკოს გენერალური დირექტორის ირინა ბოკოვას, ალენ დელონის, მაია პლისეცკაიას, ევგენი კისინის, დიმიტრი ხვოროსტოვსკის, მონსერატ კაბალიეს, პლასიდო დომინგოს, ევგენი ევტუშენკოსა და სხვათა ავტოგრაფებითა და საინტერესო წარწერებით. ასევე ქართულ ენაზე გამოცემულ ეგზემპლარებზე საქართველოს პატრიარქის ილია მეორის, რუსთველოლოგების, მწერლების, პოეტების, რუსთაველის თეატრის დასის, მხატვრებისა და სხვა ცნობილი ადამიანების ავტოგრაფებია.

გურამ ახალაიას პირად ბიბლიოთეკაში, „ვეფხისტყაოსნის“ 450 გამოცემასთან ერთად, დაცულია უნიკალური რუსთველოლოგიური ლიტერატურაც, 100-ზე მეტი წიგნი შოთა რუსთაველისა და მისი გენიალური ქმნილების შესახებ. მდიდარი და საინტერესო ბიბლიოთეკა 5000-ზე მეტ მინიატურულ წიგნს ითვლის, რომელთა შორის ყველაზე პატარა 1,8-2,2 მმ-ია. ამ გამოცემათა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მინიატურული „ვეფხისტყაოსანი“ კოსმონავტ ლეონოვის ავტოგრაფით. სწორედ „ვეფხისტყაოსანი“ იყო მსოფლიოს იმ იშვიათ ქმნილებათა შორის, რომელიც დედამიწიდან კოსმოსში გაიგზავნა.

# „იქს ფაქტორი“ მერაბ ამზოევმა დატოვა

„იქს ფაქტორის“ პირდაპირი ეთერის დაწყებიდან მისი მონაწილეების ბედს უკვე მაყურებელი წყვეტს. ხმათა უმრავლესობით ერთი ლიდერი ვლინდება, ყველაზე ნაკლები ხმის მფლობელი ორი კონკურსანტიდან კი საუკეთესოს მენტორები არჩევენ.

მუსიკალური შოუს მეორე საკონკურსო დღეს 22.633 ზარიდან ყველაზე მეტი ხმა დააგროვა სანდრო კურცხალიძემ და შოუს ლიდერიც გახდა. აუტსაიდერები კი მაგდა ვასაძე და მერაბ ამზოევი გახდნენ.

მენტორთა გადაწყვეტილებით, პროექტი მერაბ ამზოევმა დატოვა, რაც იმას ნიშნავს, რომ, სტეფანეს მსგავსად, შოუში ერთი კონკურსანტით დარჩა სოფო ნიჟარაძეც.

„იქს ფაქტორის“ მოსაგებად იბრძვიან ჯგუფი „მიქსტურა“ სტეფანეს გუნდიდან, სანდრო კურცხალიძე სოფო ნიჟარაძის გუნდიდან, მაგდა ვასაძე და სოფო საჟინიანი ლელა წურწუმიას გუნდიდან და გრიგოლ ყიფშიძე და თამარ ედილაშვილი გიორგი გაბუნიას გუნდიდან.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ციყვებმა ამერიკელს დროშები მოჰპარეს და ბინა მოიწყვეს

ციყვებმა აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალების ვეტერანის კერძო სახლის ეზოდან ამერიკის პატარა დროშები მოიტაცეს. მამაკაცი დანაკარგმა გაანაწყენა და საგონებელში ჩააგდო, სანამ მეზობელმა მას ვიდეოჩანაწერი არ აჩვენა, რომელზეც ცხოველების ონავრობა იყო ასახული.

როგორც ყოფილი სამხედროს ქალიშვილმა ჯენიფერ ნორტემმა განაცხადა, მასაც და მამამისსაც გულზე მოეშვათ, როდესაც ქურდობა ადამიანის ჩადენილი არ იყო.

– არ ვიცოდით, რა გვეფიქრა, ვინაიდან ახლახან გადმოვედით ამ რაიონში საცხოვრებლად, – განმარტა მან.

ვიდეორგოლის გადამღები მეზობლის დევინ რივერიდიუკის თქმით, საერთო ჯამში, ციყვებმა 10 ალამი მოიტაცეს. მისგან კი ხის ტოტებში ბინა მოიწყვეს.

# კახი კავსაძე იუბილარია



ქართული თეატრისა და კინოს მსახიობი კახი კავსაძე იუბილარია. მას 82 წელი შეუსრულდა.

ყველაზე ემოციური და გულწრფელი მსახიობი მაყურებელში დიდი პოპულარობით სარგებლობს. მისი თეატრალური თუ კინოროლები დაუვიწყარია ხელოვნების მოყვარულთათვის.

კახი კავსაძისთვის წლევანდელი დაბადების დღე ყველაზე მტკივნეულია, რადგან მისი უერთგულესი მეგობარი გივი ბერიკაშვილი გარდაიცვალა.

კახი კავსაძე არაერთი საერთაშორისო ჯილდოსა და პრემიის მფლობელია, თუმცა, როგორც თავად ამბობს, ყველაზე დიდი საჩუქარი მისთვის მაყურებლის სიყვარულია, რომელსაც ყოველთვის გრძნობს.

კახი კავსაძის მთელი ოჯახი ხელოვნებას ემსახურება. მისი მეუღლე ბელა მირიანაშვილი რუსთაველის თეატრის მსახიობი იყო, შვილები ირაკლი კავსაძე და ნანუკა ხუსკივაძე მსახიობები არიან. ნანუკა რუსთაველის თეატრის მსახიობია, ირაკლი კი წლების წინ ამერიკაში წავიდა და პაატა ციქურიშვილის მიერ დაარსებულ სინეტეკ თეატრში მოღვაწეობს.

კახი კავსაძისთვის განსაკუთრებული საჩუქრები არ არსებობს. მისთვის ყველაზე გულწრფელად ნათქვამი ერთი სიტყვაც საკმარისია ბედნიერებისთვის. 82 წლის მსახიობი დღემდე რუსთაველის თეატრში მოღვაწეობს და მონაწილეობს გოჩა კაპანაძის მიერ დადგმულ სპექტაკლში „მოხუცი ჯამბაზები“, რომელიც სრული ანშლაგით მიმდინარეობს და წარმოდგენაზე ბილეთების შოვნა დიდი პრობლემაა.

კახი კავსაძეს მაყურებელმა დიდი სიყვარულის დასტურად რუსთაველის თეატრის წინ ვარსკვლავი გაუხსნა, ხელოვნების სასახლის უკვდავთა თაღში კი მისი და გივი ბერიკაშვილის ხელის ანაბეჭდები საზეიმოდ გაიხსნა.

# ფესტივალი „ქართული სული“ წელს პრაღაში გაიმართება

ფესტივალი „ქართული სული“, მისი ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, წელს პრაღაში საზეიმოდ გაიხსნება და ოთხ დღეს გასტანს.

ყოველწლიური ხელოვნების ფესტივალი ამჯერად უკვე საქართველოს ფარგლებს გარეთ გაიმართება.

ღონისძიებაში ლეგენდარული ანსამბლი „ქართული ხმები“ და ოზურგეთის ფოლკლორული ანსამბლი „შვიდკაცა“ მიიღებენ მონაწილეობას.

ფესტივალის ორგანიზატორები „ქართული სული 2017“-ის ლაურეატებს საზეიმო ვითარებაში დააჯილდოებენ.

# ანა ჯაკი სცენას დაუბრუნდა

მომღერალი ანა ჯაკი რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და მოთხოვნადი იყო ქართულ ესტრადაზე. მოგვიანებით ანა სცენიდან და ეკრანიდან გაქრა და მის მიმართ ინტერესიც განელდა.

აღმოჩნდა, რომ ანამ საქართველო დატოვა და უცხოეთში წავიდა. ის გათხოვდა და საცხოვრებლად საფრანგეთში წავიდა, მაგრამ მისი მეუღლე მოულოდნელად გარდაიცვალა და მომღერალმა რამდენიმეწლიანი შემოქმედებითი პაუზა აიღო. ხანმოკლე შესვენების შემდეგ ანა ჯაკი სცენას დაუბრუნდა და ახალ სიმღერებზე მუშაობაც დაიწყო, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა საქართველოში.

მან ახალი სიმღერის ჩაწერის შემდეგ ახალი კლიპიც გადაიღო. ვიდეორგოლი ფერადკანიან მომღერალთან ჩაწერილ დუეტზე შეიქმნა და პარიზშია გადაღებული. იგი ინტერნეტში უკვე გავრცელდა და დიდი მოწონებითაც სარგებლობს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ევა ლონგორია ნატიფი ხელოვნების საპატიო დოქტორი გახდა

სერიალ „სასოწარკვეთილი დიასახლისების“ ვარსკვლავი ევა ლონგორია ნატიფი ხელოვნების საპატიო დოქტორი გახდა. ამის თაობაზე ინფორმაცია მან ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე განათავსა. ამის შესაბამისი დიპლომი მსახიობს ილინოისის შტატის ნოკსის კოლეჯმა გადასცა.

42 წლის მსახიობი პირადად ეწვია კოლეჯს, რათა გამოსაშვებ ცერემონიაზე გამოსულიყო. ლონგორიას თქმით, არსებობენ არცთუ ჭკვიანი ცნობილი სახეები, ამიტომ მას მოუწია იმის დამტკიცება, ის ერთ-ერთი მათგანი არ არის.

– მეგობრებო, დღეს მე მივიღე დოქტორის ხარისხი, ასე რომ, ახლა უკვე მე დოქტორი ლონგორია-ბასტონიო ვარ. მოვითხოვ, რომ ამი-ერიდან ყველამ ასე მომიხსენიოს, – იხუმრა საზეიმო ცერემონიის დასრულების შემდეგ მსახიობმა.

# განაწყენებულმა ამერიკელმა ქალაქის ხელისუფლებას რწყილები შეუსია

ამერიკის მენის შტატის ქალაქ ოგასტის მცხოვრებმა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციას რწყილები შეუსია.

მამაკაცმა ქალაქის ხელისუფლებას საჩივრით მიმართა მის ბინაში რწყილების თაობაზე და დახმარება ითხოვა, მაგრამ პასუხად უარი მიიღო.

მაშინ მამაკაცმა მწერები ქილაში მოაგროვა და ის სახლის მმართველს აჩვენა, რომელმაც მისი ბინიდან გასახლება გადაწყვიტა.

უბინაოდ დარჩენილი მამაკაცი ქალაქის მუნიციპალიტეტში დაბრუნდა და თან რწყილებით სავსე ქილა მიიტანა. იქ მან ქილას თავი მოხადა და მწერები მაგიდაზე გადმოყარა, უმალვე მთელ შენობაში ასეულობით რწყილი მიმოიფანტა.

ოგასტის სიტი-მნეჯერმა უილიამ ბრიჯეომ განაცხადა, რომ ინციდენტის შემდეგ ქალაქის ხელისუფლება იძულებული გახდა, დეზინფექციის სამსახური გამოეძახებინა. მათ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის შენობა, სადაც მამაკაცმა რწყილები გაუშვა, სათანადოდ დაამუშავეს.

გადაწყვეტილება ჩადენილი ქმედების გამო მამაკაცის პასუხისგებაში მიცემის თაობაზე ჯერ არ მიუღიათ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## პროგრამა

**ოთხშაბათი 7 ივნისი**

**06.00** მუსიკა პირველზე **07.00** დოკ/ფ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **08.00** ანიმაცია. "მადაგასკარის პინგვინები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. **"ძველი ხიდის საიდუმლო"** **12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ტელემანი" **12.45** "კაცების დრო" **13.50** "ფერმა" **14.20** "სიტყვების თამაში" **15.00, 03.00** "C სტუდია" **16.15** "ეკონომეტრი" **16.30** "პოპლა ჩვენ ვცოცხლობთ" **17.00, 04.00** "რეალური სივრცე" **18.30** "ხანმოკლე XX საუკუნე" **20.40** "სპორტის დიფა" **21.00** ტ/სერ. **"ველვეტი"** **22.00** "მთავარი"- თამარ ჩიქოვანთან ერთად **23.00** მხ/ფ **"ჯო ტაინანის ცდუნება"** (მ. სტრიპი) **00.50** მხ/ფ **"ჰალკი"** (ნ.ნოლტი)

**08.00** დოკ/ფ "როცა მეცნიერება სანაპიროს იკვლევს" **09.00** დოკ/ფ "ბავშვობის შავი ლაქები" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** დოკ/ფ "პირველი ეთიოპელი ბერების კვალდაკვალ" **11.05** დოკ/ფ "იაპონია-იმპერატორი და ჯარი" **12.00, 22.00** ტ/სერ. **"ქედრის ყურე"** **13.00** ტ/სერ. **"ჩენტრო ვეტერინე"** **14.00** დოკ/ფ "ისლანდია-ყველაზე ახლოს ვულკანთან" **15.00** დოკ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები" **17.00** დოკ/ფ "ფანტასტიკური სიმფონია" - ბერლიოზი **18.00** დოკ/ფ "იმპრესიონისტული სკანდალი" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** **ფეხბურთი** - ამხანაგური შეხვედრა. **საქართველო - სენ კიტსი ნევისი** **23.00** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" რუსულ ენებზე) **00.00** "ნამდვილი დრო" **00.30** ტ/სერ. **"კატერინა და მისი ქალიშვილები"**

**05.50, 14.40** სერ. **"ელიფი"** **07.30** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30** ქრონიკა **08.20, 09.20** იმედის დილა (გაგრძელება) **10.05** სერ. **"პაპარაქალი"** **11.20** სერ. **"ფიცი"** **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. **"სტამბოლის ორი სახე"** **18.45, 19.03** სერ. **"მოპარული ცხოვრება"** **20.55** სერ. **"ნამსხვრევები"** **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** შინაურები **00.30** მხ/ფ **"გამდიდრდი ან მოკვდი"** **02.45** მხ/ფ **"სიყვარულის ისტორია"** **04.25** მხ/ფ **"ყველაზე საშიში ადამიანი"**

**06.00** სერ. **"შენი ზოდიაქოს ფერი"** **06.45** სერ. **"დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა"** **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. **"მფარველი ანგელოზი"** **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. **"ფერიპას საიდუმლო"** **15.30** სერ. **"ინდური საგა"** **16.55** სერ. **"დაკარგული წლები"** **18.30** სერ. **"შენი ზოდიაქოს ფერი"** **19.57** სერ. **"დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა"** **22.00** ნანუკას შოუ **23.30** გააცინე და მოიგე

**09.00** სერ. **"ერთხელ ზღაპარში"** **13.00** სერ. **"გრეის ანატომია"** **15.00** სერ. **"ანტიმაფია"** **17.00** სერ. **"კრიმინალური აზროვნება"** **19.00** სერ. **"შავი სია"** **21.00** სერ. **"მაფიოზა"** **22.30** მხ/ფ "XXX – ახალი დონე" **00.25** მხ/ფ **"უცნობი"** **02.25** მხ/ფ **"ძალადობის ისტორია"**

**06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** დ/ფ "მცხეთა წმინდა ქალაქი, ჯვარი" **10.30** დ/ფ "ველური ბუნება"-ოკავანგოს დელტა **11.00** მიწათმოქმედი-"მყნობა-გვეოლესიანი" **11.15** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** ბავშვები მუზეუმში **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** დ/ფ "ბარტ ვულფი" **15.55** კონცერტი-კამერული მუსიკის კონცერტი "ემიგრანტები" **17.20** "ერთსულოვანი ოჯახი"-თავართქილაძე **17.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** "განთიადის"-სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"თუში მეხსვარე"** **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.20** წმინდანები **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი "მანანა გედევანიშვილი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** ივერიის ეკლესია-"მოციქულთა ქადაგებიდან წმინდა ნინომდე" **00.00** საეკლესიო კალენდარი **01.00** დ/ფ "პროფესია კინორეჟისორი-სოსო ჩხაიძე" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

**7.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია"მაშა და დათვი" **8.15** დოკ/ფ "კაცი,ქალი,ბუნება" **9.00** სერ. **"ორი გული"** **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 2.30** სერ. **"სიყვარულის იმპერია"** **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30, 18.50, 20.55** სერ. **"ბარისა"** **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **0.00, 2.00** "კონტაქტი" **0.30** დოკ/ფ "მედიუმი ლონგ აილენდიდან"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

**7 ივნისისთვის**

- აშშ დოლარი — 2.4233
- ევრო — 2.7235
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1268
- 100 რუსული რუბლი — 4.2725

## ამინდის პროგნოზი 7 ივნისისთვის

## 1 ივნისიდან

ონორე
დე ბალზაკი
**გამქრალი ოცნებანი**
წიგნი I

**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**

## 6 ივნისიდან

ონორე
დე ბალზაკი
**გამქრალი ოცნებანი**
წიგნი II

**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**

## 8 ივნისიდან

**საქართველოს მეფეთა ისტორია**

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## „ბურგერ კინგმა“ სკანდალური რეკლამის შემდეგ ფიტულზე უარი თქვა

„ბურგერ კინგმა“ შეწყვიტა სარეკლამო კამპანია, რომელშიც ბელგიის მეფე ფილიპის სახეს იყენებდა, პირობა დადო, რომ ტახტზე უარს იტყოდა და სიტყვა „მეფე“ მოაშორა საკუთარ ლოგოტიპს.

სწრაფი კვების რესტორნების ქსელმა ხმის მიცემის ვადაზე ადრე დასრულების თაობაზე განცხადება გააკეთა, რომელშიც ბელგიელებს სთავაზობდნენ არჩევანი გაეკეთებინათ „ბურგერ კინგსა და მეფე ფილიპს შორის. კომპანიის განცხადების თანახმად, თითქოსდა მონარქმა ხმების 51 პროცენტი მოაგროვა და გაიმარჯვა.

– შესაბამისად, „ბერგერ კინგი“ უარს აცხადებს საკუთარ ტიტულზე და მას საკუთარი ლოგოტიპიდან ხსნის, – ნათქვამია პრეს-რელიზში. ამის დასტურად სოციალურ ქსელ ფეისბუქში ბელგიური „ბურგერ კინგის“ გვერდზე დროებით გაქრა სიტყვა „კინგი“ („მეფე“).

ხმის მიცემა მიმდინარეობდა სარეკლამო კამპანიის ფარგლებში, რომელიც ბელგიაში პირველი „ბურგერ კინგის“ გახსნას ეძღვნებოდა. მომხმარებლებმა, რომლებიც ხმის მეფე ფილიპისთვის მიცემას ცდილობდნენ, აღმოაჩინეს, რომ ეს შეუძლებელი იყო. „ბურგერ კინგის ვებ-გვერდი სხვადასხვა სახუმარო მიზეზებით უარს ამბობდა მათი ხმის მიცემის მიღებაზე.

ბელგიის მეფის წარმომადგენლებმა გაოცება გამოხატეს ასეთი რეკლამის გამო და კომპანიის ადგილობრივი წარმომადგენლისგან ახსნა-განმარტება მოითხოვეს. მათი თქმით, მეფე ფილიპს არ მიუცია თანხმობა კომერციული მიზნებით მისი სახელის გამოყენებაზე.

## იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– თუ არის რაიმე საშუალება ქორწინების საწინააღმდეგო?

– როგორ არა, ალკოჰოლიზმი!

•••

ოთხი სტუდენტი ხვდება ერთმანეთს. ერთი დანარჩენებს ეუბნება:

– ბიჭებო, ხვალ სტუდენტების დღეა და არ აღვნიშნოთ.

– აღვნიშნოთ, მაგრამ სად?

– ჩემთან ავიდეთ, ლუდი იქნება, თევზი...

– და გოგონები?

– გოგონებს მოველაპარაკე... არ მოვლენ!

•••

ორი ძაღლი შეხვდა ერთმანეთს. ერთი ერთიანად დაბინტულია. მეორე ეკითხება:

– რა დაგემართა?

– პატრონმა მცემა.

– რისთვის?

– ვუკბინე.

– კი მაგრამ, რატომ?

– დათვრა და მთელი ჩემი მედლები მკერდზე გაიკეთა...

•••

ასტრონავტს კოსმოსში სხვადასხვა მცენარის თესლი გაატანეს და დაავალეს, რომ დეთესა და ენახა, უწონადობაში როგორ გაიზრდებოდნენ. პირველად მწვანილები დათესა. ამოვიდა და დედამიწაზე ატყობინებს:

– დავთესე და მაგარი მწვანილები გაიზარდა, მინდა შევჭამო.

– თითი არ დააკარო, შეინახე და დედამიწაზე ჩამოიტანე გამოკვლევისთვის.

შემდეგ დათესა სიმინდი. გაიზარდა სიმინდი, ტარო გაიკეთა. ასტრონავტი დედამიწას ატყობინებს:

– სიმინდი დავთესე, ამოვიდა, ისეთი ტაროები გაიკეთა, ავ თვალს არ ენახვება, უნდა შევჭამო.

– თითი არ დააკარო, შეინახე და დედამიწაზე ჩამოიტანე კვლევების ჩასატარებლად.

შემდეგ კანაფი დათესა. ასტრონავტი დედამიწას ატყობინებს:

– აუ, ჩემი, დავთესე, მაგრამ არ ამოვიდა...

•••

ბარმენი კლიენტს მიმართავს:

– ჭიქა ცარიელი გაქვთ, კიდევ ხომ არ ინებებდით?

– ორი ცარიელი ჭიქა, რა ჯანდაბად მინდა?!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.**




## 23 მაისიდან

**ლაშა იმედაშვილი**
**სამი მკვლელობა ძველ თბილისში**
**პატრიარქის ზაფხული**

**ქართული დეტექტივი**
**ტომი 13**

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## ამერიკაში კოსმეტიკის გამყიდველები რეკლამისთვის გააშიშვლეს

აშშ-ში Lush-ს კოსმეტიკის მაღაზიების თანამშრომლები საქონლის რეკლამისთვის სამუშაოზე შიშვლები გამოვიდნენ. ამ ინფორმაციას კოსმეტიკური კომპანია სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე აქვეყნებს.

– ჩვენი პროდუქციის 35 პროცენტი სრულიად შიშველია, ისევე, როგორც დღეს ჩვენი თანამშრომლები, – ნათქვამია პოსტში. მას თან ერთვის ფოტოსურათები, რომლებიც კომპანიის ერთ-ერთ მაღაზიაშია გადაღებული. ორივე სქესის გამყიდველებს შიშველ სხეულზე მხოლოდ საფირმო შავი ფერის წინსაფარი უკეთიათ. კომპანია ამტკიცებს, რომ ამ აქციის მონაწილეები საკუთარი სურვილით გაშიშვლდნენ.

კოსმეტიკურ კომპანიას ამ აქციით სურს მომხმარებლების ყურადღება მიაპყროს იმ მავნე ზემოქმედებაზე, რომელსაც გარემოს აყენებს პროდუქციის გადაგდებული შესაფუთი მასალები.

## ავსტრალიელებმა ყავის სტაფილოს ჭიქით დალევა დაიწყეს

ავსტრალიის ქალაქ სიფორტში ყავას სტაფილოსგან დამზადებული ჭიქებით სვამენ. აღსანიშნავია, რომ საერთოდ კოფემანები შემოქმედებითი ადამიანები არიან და მუდმივად საყვარელი სასმელის მირთმევის ახალ-ახალ საშუალებებს იგონებენ.

ახალ ტრენდს ცარროტ-ცინო ეწოდა (სიტყვებისგან „სტაფილო“ და „კაპუჩინო“). ის ავო-ლატეს კვალდაკვალ („ავოკადო“ და „ლატე“) გამოჩნდა, როდესაც ყავას ავოკადოთი სვამდნენ.

ახლა უკვე სიფორტში ყავას სტაფილოს ჭიქით შემოგთავაზებენ. როგორც დაწესებულებაში განაცხადეს, მათ მოსწონთ სიახლეების დანერგვა. ერთხელ ყავას ვაშლით მოგართმევენ, მეორედ ავოკადოთი, ამ კვირაში კი სტაფილოთი, მომავლისთვის კი კიდევ რამეს მოიფიქრებენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ყავა სტაფილოს ჭიქაში არცთუ პრაქტიკული გამოდგა, ვინაიდან ჭიქა სასმელს აპარებს და ამასთან მასში ცოტა ყავა ჩადის.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ჯოსვოიდი ১



**შვეულად**: 1. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი ირანში; 2. ამერიკული სამხედრო-მოიერიშე ვერტმფრენების სერია; 3. ტერიტორიული ერთეული; 5. რძის პროდუქტი; 6. სასტუმრო ავტოტურისტებისთვის; 9. სამხედრო ავიაციის ქვედანაყოფი; 10. ძველი გერმანული ტომი, რომელმაც მეხუთე საუკუნეში გაძარცვა და სასტიკად დაარბია რომი; 11. საეკლესიო წესით ქორწინება; 14. სამჭედლო იარაღი; 16. გობელენის ერთ-ერთი სახეობა; 18. აეროპორტი თელ ავივში.

**თარაზულად**: 1. შენობის სახურავად გამოყენებული, ნაპობი თხელი ფიცარი; 4. სხეულთა მოძრაობის შემსწავლელი მექანიკის ნაწილი; 7. ბუნებრივი ზონა აფრიკაში; 8. გამოჩენილი ორატორის სახელწოდება ძველ რომში; 12. წითელი ზღვისპირა კურორტი იორდანიაში; 13. თეატრალური პრემია საქართველოში; 15. დოსტოევსკის რომანი; 17. შიშველი სხეულის გამოსახულება სახვით ხელოვნებაში; 19. სახელმწიფო კავკასიაში; 20. მორიგეობა გემზე; 21. გულდა კალაძის ქანდაკება ბიჭვინთაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*